

# NCEQE

## თემატური ანალიზი

სამ წელიწადში ერთხელ  
ცენტრში წარმოსადგენი  
შუალედური თვითშეფასების  
ანბარიშები - მათი  
დანიშნულება, შეფასება და  
ეფექტურობა

---

### მკვლევართა ჯგუფი:


ლაშა მაჭარაშვილი (მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელი),  
თორნიკე ბაქაძე (მკვლევართა ჯგუფის თანახელმძღვანელი),  
ანი ბილანიშვილი, ანა ჯავახიშვილი, ანა ჯულელი, გვანცა ძიძიგური, თამთა ანთიძე, ნინო სარჯველაძე, ნინო ლაჭავა, სოფიკო ქურასბედიანი, ქრისტინე აბულაძე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრი

თბილისი, 2023

# სარჩევი

|   |    |
|---|----|
| შესავალი.....   | 4  |
| კვლევის მიზანი და ამოცანები.....  | 7  |
| კვლევის მეთოდოლოგია.....  | 7  |
| დოკუმენტების ანალიზი .....  | 8  |
| ჩადრმავებული ინტერვიუები და კვლევის მონაწილეთა შერჩევა .....  | 9  |
| მონაცემთა ანალიზი .....   | 9  |
| კვლევის შედეგები.....   | 11 |
| <i>სამწლიან ანგარიშებთან დაკავშირებით გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების<br/>    ანალიზი ავტორიზაციის მიმართულებით</i> ..... | 11 |
| 1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია და სტრატეგიული<br>განვითარება .....   | 11 |
| 2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა .....   | 13 |
| 3. საგანმანათლებლო პროგრამები .....   | 18 |
| 4. უსდ-ის პერსონალი .....   | 20 |
| 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები .....  | 22 |
| 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა .....  | 25 |
| 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები .....   | 30 |
| უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის 3-წლიანი შუალედური<br>შეფასების დასკვნები .....                               | 32 |
| სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება .....  | 33 |
| ინტერვიუების შედეგები .....   | 34 |
| უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები.....   | 34 |
| უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი<br>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები ..... | 40 |
| განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების<br>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები..... | 43 |
| საერთაშორისო გამოცდილება .....  | 45 |
| ესტონეთი .....  | 46 |
| ლატვია.....   | 46 |
| ლიეტუვა .....   | 47 |
| დასკვნა და რეკომენდაციები.....  | 48 |
| დანართები .....   | 51 |



|   |    |
|---|----|
| <b>დანართი #1 - უსდ-ების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების გზამკვლევი</b> | 51 |
| <b>დანართი #2 - ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუების გზამკვლევი</b>               | 52 |
| <b>დანართი #3 - ცენტრის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების გზამკვლევი</b>  | 53 |

## შესავალი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (შემდეგში ESG 2015<sup>1</sup>) თანახმად, უმაღლესი განათლების ხარისხის გარე შეფასების ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი გააჩნია ძირითადი შეფასების თანმდევი შეფასების მექანიზმების არსებობას. ეს საკითხი განსაკუთრებით თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ESG 2015-ის 2.2 და 2.3 სტანდარტების ფარგლებში, რომლებიც ეხება გარე ხარისხის უზრუნველყოფის თანმიმდევრულ ზოგად კონცეფციასა და ამ კონცეფციის შესაბამის, სანდო და გამჭვირვალე პროცესებს. 2.3 კომპონენტთან მიმართებით, ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ასოციაციის (შემდეგში: ENQA<sup>2</sup>) 2018 წლის შეფასების ფარგლებში ცენტრმა მიიღო რეკომენდაცია<sup>3</sup> ძირითადი შეფასებების თანმდევი პროცესების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების ფარგლებში თანმდევი შეფასების სხვადასხვა საშუალებას იყენებს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 79<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შეფასების განხორციელების შემდეგ, საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულებები მაქსიმუმ ერთი წლის განმავლობაში წარმოადგენენ ანგარიშს შეფასების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.


გარდა ამისა, ავტორიზაციის დებულების 88-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-5 პუნქტების თანახმად, გათვალისწინებულია გეგმური და არაგეგმური მონიტორინგის შეფასებები, რომელიც შესაძლებელია განსაზღვრული იყოს როგორც ავტორიზაციის საბჭოს მიერ, ისე განხორციელდეს ცალკეულ საკითხთან დაკავშირებით (მაგალითად, საჩივარი). ორივე ზემოთხსენებული შეფასება აგრეთვე ინტეგრირებულია უმაღლესი

<sup>1</sup> [https://www.enqa.eu/wp-content/uploads/2015/11/ESG\\_2015.pdf](https://www.enqa.eu/wp-content/uploads/2015/11/ESG_2015.pdf)

<sup>2</sup> <https://www.enqa.eu/>

<sup>3</sup> დასკვნის სრული ვერსია ხელმისაწვდომია ბმულზე:

<https://ege.ge/res/docs/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%95%E1%83%90.pdf>



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესებშიც, რომელიც შესაბამისი დებულების 31-ე მუხლით რეგულირდება.

გარდა ზემოთ მოცემული მონიტორინგის მექანიზმებისა, 2021 წლიდან ავტორიზაციასა და აკრედიტაციის მექანიზმებში სტრუქტურულად ინტეგრირებულია სამ წელიწადში ერთხელ წარმოსადგენი ანგარიშები. აღნიშნული ანგარიშების წარმოდგენის ვალდებულება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებში 2017 წლიდან არსებობდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, თუმცა, 2021 წლამდე არ იყო დამტკიცებული შეფასების პროცესები და მეთოდოლოგია სამწლიანი ანგარიშებისათვის. 2021 წელს როგორც ავტორიზაციის, ისე აკრედიტაციის პროცესებისათვის, დეტალურად გაიწერა სამ წელიწადში ერთხელ წარმოსადგენი ანგარიშების შეფასების ზოგადი კონცეფცია და ასევე შეფასების პროცედურული და მეთოდოლოგიური საკითხები.

ავტორიზაციის დებულების 85-ე მუხლის, მე-17 პუნქტის თანახმად, სამწლიანი ანგარიშების შეფასება ხორციელდება: „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრების, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებებზე დაფუძნებული განმავითარებელი და მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით“.

იმავე მიზანს ემსახურება აკრედიტაციის ფარგლებში სამწლიანი ანგარიშების შეფასებაც, რომელიც, დებულების 29-ე მუხლის მე-16 პუნქტის მიხედვით, ხორციელდება შემდეგი მიზნებით: „დაწესებულებისა და საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის ფარგლებში სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრების, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარებისა და დაწესებულებების საჭიროებებზე დაფუძნებული განმავითარებელი და მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით. ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი მახასიათებელი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშების შეფასებასა და მონიტორინგის პროცესებსა და სამწლიან შეფასებებს შორის ის არის, რომ ამ უკანასკნელს, პირველი ორისაგან განსხვავებით, არ გააჩნია

სამართლებრივი შედეგები. კერძოდ, როგორც რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილ ანგარიში და მის შესახებ შემდგარი დასკვნა, ისე გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგების შედეგები წარედგინება შესაბამის საბჭოებს, რომლებიც საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში იღებენ სხვადასხვა ტიპის გადაწყვეტილებებს, და ეს გადაწყვეტილებები, უმრავლეს შემთხვევებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ადგენენ სამართლებრივ ვალდებულებებს.

სამწლიანი ანგარიშის ფარგლებში ხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ შესწავლა და დგება დასკვნა, თუმცა, შეფასების შედეგები არ უზიარდება საბჭოს. აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებები ითვალისწინებენ მონიტორინგის ინიცირებას, თუ შესაბამისი ანგარიში დაწესებულების მიერ ცენტრში არ არის წარმოდგენილი დადგენილ ვადებში (ავტორიზაცია: 85-ე მუხლის მე-18 პუნქტი; აკრედიტაცია: 29-ე მუხლის მე-17 პუნქტი).

ცენტრი უკვე ორი წელია ჩართულია აღნიშნულ შეფასებებში და ამ პერიოდში უკვე დაგროვდა გარკვეული გამოცდილება შეფასებებთან დაკავშირებით, როგორც თავად ცენტრის, ისე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსპექტივიდან. აღსანიშნავია, რომ სამწლიანი შეფასებისათვის დაწესებულებას არ ევალუა საფასურის გადახდა. ავტორიზაციის, განსაკუთრებით კი აკრედიტაციის სამწლიანი ანგარიშების ფარგლებში, აღნიშნული შეფასებები წარმოადგენენ დამატებით სამუშაო დატვირთვას როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, ისე ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და შეფასების პროცესებში ჩართული ექსპერტებისათვის. ანგარიშების შემუშავებისა და შეფასების განხორციელებისათვის განსაზღვრული დროისა და რესურსების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია შეფასდეს ის გავლენა, რაც აქამდე მოახდინა სამწლიანმა ანგარიშებმა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე. სამწლიანი ანგარიშების სამომავლო განხორციელების ფორმისა და ფარგლების უკეთ განსაზღვრის მიზნით, მნიშვნელოვანია შესწავლილი იყოს, თუ რამდენად ახერხებს აღნიშნული შეფასება დებულებით განსაზღვრულ მიზნებზე გასვლას.

## **კვლევის მიზანი და ამოცანები**

თემატური ანალიზის განხორციელება ემსახურება ცენტრის მიერ ადმინისტრირებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების გაუმჯობესებასა და განვითარებას. წინამდებარე თემატური ანალიზის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესებში სამწლიანი ანგარიშების შეფასების ეფექტურობის შესწავლა.

კვლევის მიზნის გათვალისწინებით საკვლევი კითხვა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

- რამდენად შეესაბამება სამწლიანი ანგარიშების შეფასებების შედეგები ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებში განსაზღვრულ მიზნებს?

გარდა მთავარი შეკითხვისა, კვლევაში დასმულია ორი დამატებითი შეკითხვა:

- რამდენად თანხვდება ერთმანეთს სამწლიანი შეფასების პროცესში ჩართული მხარეების შეხედულებები შეფასების ეფექტურობასთან დაკავშირებით?
- როგორ არის შესაძლებელი სამწლიანი ანგარიშების შეფასების პროცესების სამომავლო გაუმჯობესება?

კვლევის შედეგების მიხედვით, შესაძლებელია სამწლიანი შეფასებების პროცესების გაუმჯობესების პროცესში ცვლილებების ინიცირება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პრინციპის დაცვით.

## **კვლევის მეთოდოლოგია**

მოცემული თემატური ანალიზი დაიგეგმა ცენტრის თემატური ანალიზის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, რომელიც შემუშავებულია საჯარო სამსახურების დამმობილების პროექტის „ხარისხის უზრუნველყოფისა და კვალიფიკაციების მართვის შესაძლებლობების გაძლიერება“ - ფარგლებში, ესტონურ და გერმანულ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან თანამშრომლობით.

მოცემული თემატური ანალიზი ხელმძღვანელობს კვლევის თვისებრივი მეთოდოლოგიით, რომლის ფარგლებშიც მონაცემები შეგროვდა ორი ძირითადი მეთოდის გამოყენებით: დოკუმენტების ანალიზი და ჩატრმავებული ინტერვიუები.

### **დოკუმენტების ანალიზი**

დოკუმენტების ანალიზის მეთოდის გამოყენებით, კვლევის ფარგლებში დამუშავდა 2021-2022 წლის განმავლობაში დასრულებული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამწლიანი ანგარიშების შეფასების მიზნით შემუშავებული დასკვნები (სულ 13 დასკვნა), კერძოდ, დასკვნებში გაცემული რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც სისტემატურად გაანალიზდა იმავე დაწესებულებების წინარე ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებთან მიმართებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ფარგლებში, სამწლიანი ანგარიშების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, მხედველობაში იქნა მიღებული სამწლიანი ანგარიშების მიზნები და მათი კავშირი ხარისხის კულტურის განვითარების შესაძლებლობებთან. კვლევის პროცესში ყურადღება გამახვილდა აკრედიტაციის მეხუთე სტანდარტზე, რომელიც ეხებასწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობებს და - რომელიც სხვადასხვა კუთხიდან აფასებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პერსპექტივებს.

ამდენად, კვლევისათვის შეირჩა ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამწლიანი ანგარიშების შეფასების ფარგლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დასკვნები და ყურადღება გამახვილდა ისეთ შემთხვევებზე, სადაც 2022 წლის სექტემბრისათვის ადმინისტრაციული წარმოება უკვე დასრულებული იყო.

გარდა დასკვნებისა, დოკუმენტების ანალიზის ფარგლებში გაანალიზდა დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები, რათა შესაძლებელი ყოფილიყო აღნიშნული ტიპის შეფასების ძირითადი დინამიკის შესწავლა. დამატებით, შესწავლილი იქნა საერთაშორისო გამოცდილება თანდმევი შეფასებების კუთხით, კერძოდ გაანალიზდა ესტონეთის, ლატვიისა და ლიეტუვის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების გამოცდილებები და მიდგომები.



## **ჩადრმავებული ინტერვიუები და კვლევის მონაწილეთა შერჩევა**

კვლევის სავლე ნაწილში ჩატარდა ჩადრმავებული ინტერვიუები სამწლიანი ანგარიშების შეფასების პროცესში ჩართულ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ:


- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები (9 ინტერვიუ);
- ავტორიზაცია/აკრედიტაციის ექსპერტები (5 ინტერვიუ);
- ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები (3 ინტერვიუ).

კვლევის მონაწილეების შერჩევა მოხდა მაქსიმალური ვარიაციების პრინციპის გათვალისწინებით. კერძოდ, ინტერვიუ ჩატარდა იმ დაწესებულებების წარმომადგენლებთან, რომელთაც ჰქონდათ როგორც ავტორიზაციის, ისე აკრედიტაციის სამწლიანი ანგარიშების შეფასებებში მონაწილეობის გამოცდილება. ამასთან, თემატურ ანალიზით გათვალისწინებული ინტერვიუების პროცესში ჩაერთო რამდენიმე წარმომადგენელი ისეთი დაწესებულებიდან, სადაც ავტორიზაციის სამწლიანი ანგარიშების შეფასება ჯერჯერობით არ განხორციელებულა, თუმცა, მათი ჩართულობა მნიშვნელოვნად ჩაითვალა დაწესებულებების ზოგადი მახასიათებლების გათვალისწინებით, კვლევის ფარგლებში ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა ტიპების მაქსიმალური რეპრეზენტაციის მიზნით.

დამატებით, ჩატარდა ინტერვიუები ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან, რომლებიც უძღვებოდნენ სამწლიანი ანგარიშების წარმოებას როგორც ავტორიზაციის, ისე აკრედიტაციის კუთხით.

## **მონაცემთა ანალიზი**

დოკუმენტების დამუშავების მიზნით შეიქმნა ექსელის ელექტრონული ბაზა, რომელში დაგროვილი ინფორმაცია სტანდარტების სტრუქტურის შესაბამისად იქნა შესწავლილი და გაანალიზებული მკვლევართა ჯგუფის მიერ; შესაბამისად, ტექსტის კოდირება



განხორციელდა წინასწარგანსაზღვრული სქემის (რჩევა/რეკომენდაცია, სტანდარტის კომპონენტი, წინარე/შუალედური დასკვნა) შესაბამისად.

კონტენტ-ანალიზი ფოკუსირებული იყო ცალკეული კომპონენტების ფარგლებში გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების შედარებაზე. ამ მიზნით, შემუშავებული იყო დადარების სისტემა, რომლითაც ორ ეტაპად განაალიზდა რეკომენდაციები და რჩევები. პირველ ეტაპზე, ინფორმაციის კატეგორიზაციის ფარგლებში, მიეთითებოდა წინარე და შუალედური შეფასების დაწყვილებულ დასკვნებში მოცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებს შორის მსგავსებაზე (1), განსხვავებასა (2) (ახალი, თვისებრივად განსხვავებული რეკომენდაცია/რჩევა) და დუბლირების (3) შესახებ, ამგვარის არსებობის შემთხვევაში. მეორე, ანალიტიკურ ეტაპზე კი, ხდებოდა მითითება ორ შეფასებაში გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებს შორის მიზეზშედეგობრივ კავშირებსა და შინაარსობრივ განგრძობითობაზე, განსაკუთრებით მსგავსება/დუბლირების შემთხვევაში.

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის ანალიზი კონცენტრირებული იყო დაწესებულებების მიერ აღნიშნულ საკითხთან მიდგომების ვარიაციების გამოყოფაზე. საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის ნაწილში კი, კვლევის ჯგუფი იყენებდა ლიტერატურის მიმოხილვის სტრატეგიას.

ინტერვიუების ფარგლებში თითოეული ინტერვიუს შემთხვევაში შედგენილი იყო ტრანსკრიპტი. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუსათვის წინასწარ შემუშავებული ინტერვიუს გეგმის შესაბამისად, ტრანსკრიპტში დაფიქსირებული პასუხები თემატური სინთეზისა და დადარების მეშვეობით, კვლევის შედეგებში წარმოდგენილია დასკვნითი ანალიტიკური შეჯამებების სახით.

## კვლევის შედეგები

### სამწლიან ანგარიშებთან დაკავშირებით გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების ანალიზი ავტორიზაციის მიმართულებით

#### 1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

ავტორიზაციის პირველი სტანდარტი კონცენტრირდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიციონირებაზე უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში, ასევე უსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისობაზე დაწესებულების მისიასა და მიზმებთან.

##### 1.1. მისია

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის სტანდარტების პირველ კომპონენტთან მიმართებით გაანალიზებული შემთხვევების უმრავლესობაში არ არის მოცემული რეკომენდაციები არც ავტორიზაციის შეფასების ფარგლებში და არც სამწლიან ანგარიშებში. იმ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციები, ეს უკანასკნელი ძირითადად არ მეორდება სამწლიან ანგარიშებში. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც სამწლიან ანგარიშებში გაცემულია რეკომენდაციები, ეს რეკომენდაციები თითქმის ყოველთვის გამომდინარეობს ავტორიზაციის დასკვნიდან და შინაარსობრივად მისი იდენტურია. მაგალითად, ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები ერთსა და იმავე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მიმართებით ავტორიზაციისა და სამწლიანი ანგარიშის შეფასების დასკვნებიდან:

რეკომენდაცია ავტორიზაციის დასკვნიდან:

*„შესწორდეს მისიის განაცხადის ფორმატი ისე, რომ იყოს ლაკონური, კონკრეტული, გარჩევადი, რეალისტური და წინდახედული“;*

რეკომენდაცია სამწლიან ანგარიშთან მიმართებით:

*„შესწორდეს მისიის განაცხადი, ისე რომ უფრო რეალისტური, ნათელი და კონკრეტული იყოს.“*

## **1.2. სტრატეგიული განვითარება**

პირველი სტანდარტის მეორე კომპონენტთან მიმართებით ანალიზის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენციის გამოყოფა შეიძლება. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ის, რომ ამ კომპონენტთან მიმართებით, ავტორიზაციისა და სამწლიანი შეფასების ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებში მეტად არის შესაძლებელი შედეგებზე ორიენტირებული მიდგომების იდენტიფიცირება და გარკვეული მიზეზშედეგობრიობის დანახვა. იკვეთება, რომ სამწლიან ანგარიშში გაცემული რეკომენდაციები სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებით პირდაპირ გამომდინარეობს ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება-შეუსრულებლობის საკითხიდან. მაგალითად, ერთ-ერთ დაწესებულებასთან დაკავშირებით მოცემულია შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია ავტორიზაციის პროცესში:

*„...საჭიროა ბიზნეს გეგმა, თუ როგორ გაიზრდება ბიუჯეტი დამდეგ წელს ფინანსების თაობაზე კონკრეტული და დადასტურებული მონაცემებით (სწავლის გადასახადი, სამედიცინო მომსახურება). ბიზნესგეგმამ აგრეთვე უნდა ასახოს, თუ რა ხარჯებთან იქნება დაკავშირებული სხვადასხვა მიზნის რეალიზება...“.*

რეკომენდაცია სამწლიანი ანგარიშის შეფასების ფარგლებში:

*„რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააგრძელოს მუშაობა მტკიცებულებებზე დაფუძნებული ბიზნეს გეგმის შემუშავებაზე.“*

გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში მოცემულია სამწლიანი შეფასების ფარგლებში ახალი საკითხების წამოჭრას რეკომენდაციებში, რომლებიც არ იყო გამოთქმული ავტორიზაციის დასკვნაში. მაგალითად, ერთ-ერთი უნივერსიტეტის შემთხვევაში, ავტორიზაციის დასკვნის ფარგლებში ძირითადი კონცენტრაცია იყო სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის მნიშვნელობის გამოკვეთაზე საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და მისი მონიტორინგის მექანიზმებზე, ხოლო სამწლიანი ანგარიშის ფარგლებში

მოცემულია რეკომენდაცია „ბრენდის განვითარებისა და სოციალური პასუხისმგებლობის“ შესახებ. ამასთანავე, აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით მოცემულია ერთ-ერთი შემთხვევა, როდესაც სამწლიან ანგარიშთან მიმართებით მეტი რეკომენდაციაა გაცემული, ვიდრე ავტორიზაციის შეფასების ფარგლებში.

## **შეჯამება**

საერთო ჯამში, ავტორიზაციის პირველ სტანდარტთან დაკავშირებით გაანალიზებულ შემთხვევებში ავტორიზაციის დასკვნების ფარგლებში შემუშვებულია 27 რეკომენდაცია და 13 რჩევა, ხოლო სამწლიანი ანგარიშის შეფასების დასკვნებში მხოლოდ 17-რეკომენდაცია და 5 რჩევა. კონცეპტუალურად მნიშვნელოვნად განსხვავდება სტანდარტის ორ კომპონენტთან მიმართებით მოცემული რეკომენდაციები. პირველ კომპონენტში უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც შინაარსობრივად მეორდება ავტორიზაციის დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები, ხოლო მეორე კომპონენტში მეტად აქვს ადგილი შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომას და იკვეთება ურთიერთკავშირი ორ შეფასებას შორის.

## **2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**

ავტორიზაციის მეორე სტანდარტი ახალისებს უსდ-ს მიერ დაწესებულების ეფექტურ მართვასა და ხარისხის უზრუნველოფის მექანიზმების გამოყენებას საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით. სტანდარტი ასევე კონცენტრირებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებაზე მართვის პროცესში და მხარს უჭერს დაწესებულებაში აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების წახალისებას.

### **2.1. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**

ავტორიზაციის მეორე სტანდარტის პირველ პუნქტთან მიმართებით ანალიზის ფარგლებში გამოიკვეთა, როგორც ავტორიზაციის პროცესში გაწეული რეკომენდაციების შინაარსობრივი გამეორება, ისე შეფასებების თანმიმდევრულობა, ზოგ შემთხვევებში კი ავტორიზაციის ფარგლებში გაცემულისაგან თვისებრივად განსხვავებული ტიპის რეკომენდაციები.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით მრავლადაა შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ დაწესებულებებისადმი არ არის გაცემული რაიმე ტიპის რეკომენდაციები, ანდა სამომავლო განვითარების პერსპექტივები, ნაცვლად რეკომენდაციისა, გამოსატულია მხოლოდ რჩევის სახით.

მიუხედავად ამისა, ხუთი დაწესებულების შემთხვევაში სახეზეა რეკომენდაციები სამწლიანი ანგარიშის შეფასების ფარგლებში. ძირითადი ტენდენცია აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით იყო სამწლიანი ანგარიშების დასკვნაში ავტორიზაციის დასკვნებში მოცემული რეკომენდაციების მსგავსი რეკომენდაციების გაცემა. ზოგიერთ შემთხვევაში, პრობლემის შესახებ, რომელზეც გაცემული იყო რეკომენდაცია ავტორიზაციის შეფასებაში, სამწლიან შეფასებაში გაჩნდა ერთზე მეტი რეკომენდაცია, რომელიც პირველადი პრობლემის გადაჭრის მოწოდებასთან ერთად, საკითხს უფრო ფართო პერსპექტივაში აჩვენებდა. მაგალითად, ერთ-ერთ დაწესებულებასთან მიმართებით ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია:

*„უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის მიზნით საჭიროა სტუდენტთა ინფორმირება სტრუქტურულ ერთეულებში მათი მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ“.*

ამავე დაწესებულების სამწლიანი შეფასების დასკვნაში კი მოცემულია შემდეგი რეკომენდაციები:

*„დაწესებულებამ უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სტუდენტთა ყველა ჯგუფის ჩართულობა“.*

*„დაწესებულებამ გამოიკვლიოს სტრუქტურულ ერთეულებში სტუდენტების ჩართულობის სიხშირე, მასშტაბი და შეაფასოს ამ ჩართულობის ხარისხი“.*

აღნიშნული კარგი მაგალითია ორი შეფასების თანმიმდევრულობისა და მიზეზშედეგობრივი კავშირისა, რომელიც საერთო ჯამში მეტად სიღრმისეულად აანალიზებს კონკრეტულ გამოწვევას და უნივერსიტეტს სთავაზობს პრობლემის გადაჭრის მრავალმხრივ პერსპექტივას.

## **2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები**

სამწლიანი შეფასების მიზნების გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ავტორიზაციის 2.2. კომპონენტის შეფასება. როგორც 2.1 კომპონენტთან მიმართებით, აქაც, მრავლად იყო შემთხვევები, როდესაც არ იყო გაცემული არც-ერთ რეკომენდაცია სამწლიან შეფასებაში. მიუხედავად ამისა, ოთხ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მიმართებით გაცემული იყო რეკომენდაციები სამწლიან შეფასებაში და ამ რეკომენდაციების ანალიზი იძლევა სამწლიანი შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან ურთიერთკავშირის დანახვის განსაკუთრებით კარგ საშუალებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პრობლემების მიუხედავად, იქნებოდა ეს ხარისხის კულტურის განვითარება, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა თუ ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების პროფესიული განვითარების საჭიროებები, იმ დაწესებულებებთან, სადაც გაცემული იყო რეკომენდაციები სამწლიან შეფასებებში, კონცეპტუალურად თითქმის სრულად მეორედებოდა ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები. მსგავსი შემთხვევების მაგალითები ქვემოთაა მოცემული:

რეკომენდაციები ავტორიზაციის დასკვნიდან:

### **დაწესებულება 1**

*„გაუმჯობესეთ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები პროფესიონალი პერსონალის ... დაქირავებით/დასაქმებით, რომელიც დაკავდება უსდ-ს საქმიანობისა და აქტივობების უწყვეტი მონიტორინგითა და შეფასებით.“*

### **დაწესებულება 2**

*"უზრუნველყავით სტუდენტთა კვლევის პროცესის ანონიმურობა და აცნობეთ სტუდენტებს მიღებული ზომების შესახებ;"*

რეკომენდაციები სამწლიანი ანგარიშის შეფასების დასკვნიდან:

### **დაწესებულება 1**

*„საჭიროა პროფესიონალი პერსონალის მეტად ჩართვა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში.“*

## **დაწესებულება 2**

*"სტუდენტების მოსაზრებების ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია სტუდენტთა კვლევის პროცესების ანონიმურობის უზრუნველყოფა;"*


ცალკეულ შემთხვევებში, უფრო მეტად რჩევების სახით, მოცემულია ისეთი შინაარსის დებულებები, სადაც აღნიშნულია დაწესებულებების მიერ განხორციელებული პროგრესი და ამ მიღწევების შემდეგი განვრცობა-გაუმჯობესების საჭიროება, თუმცა 2.2 კომპონენტთან მიმართებით მნიშვნელოვნად ნაკლებია ისეთი ნარატივები, რომელიც ნათლად გაუსვამდა ხაზს შეფასებების ურთიერთკავშირს.

მოცემულ კომპონენტთან მიმართებით, უმრავლეს დაწესებულებებთან მიმართებით თითქმის არ არის რეკომენდაციები სამწლიან შეფასებებში, მაშინ როდესაც, ავტორიზაციის ფარგლებში რეკომენდაციები იყო გაცემული. აღნიშნული, შეფასების ლოგიკის გათვალისწინებით, იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ არსებული პრობლემები გადაჭრილია, მეორე მხრივ კი, სახეზე გვაქვს ის, რომ ცალკეულ დაწესებულებების შემთხვევებში კვლავაც მოცემულია იდენტური პრობლემები, რაც სამი წლით ადრე იყო გამოკვეთილი ავტორიზაციის შეფასებისას.

### **2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა**

ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მესამე კომპონენტში საკმაოდ მწირია რეკომენდაციებისა და რჩევების რაოდენობა, როგორც პირველად, ავტორიზაციის შეფასებაში, ისე სამწლიან შეფასებებში. მოცემულ კომპონენტში მხოლოდ ერთ უსდ-სთან დაკავშირებით ფიქსირდება ისეთი შემთხვევა, როდესაც ორივე დასკვნაშია გაცემული რეკომენდაცია და ეს ორი რეკომენდაციაც მეტწილად ერთნაირ პათოსს ატარებს. ძირითადი პრობლემატური საკითხი, რომელიც რეკომენდაციებსა და რჩევებშია გამოყოფილი სამწლიან ანგარშებთან მიმართებით პლაგიატთან ბრძოლის მექანიზმების შემუშავება და განვითარებაა შეფასებულ დაწესებულებებში.





საკმაოდ ბევრია ისეთი შემთხვევა, როდესაც ავტორიზაციის ფარგლებში არ არის გაცემული რეკომენდაცია, ანდა გაცემულია მხოლოდ რჩევები. ამასთანავე, კომპონენტში არის ერთი ისეთი შემთხვევა, როდესაც ავტორიზაციის ფარგლებში არ იყო გაცემული რეკომენდაცია, ხოლო სამწლიანი შეფასების ფარგლებში კი გაჩნდა კონკრეტული რეკომენდაცია. მსგავსი შემთხვევები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლებელია მიანიშნებდეს გარკვეულ სუბიექტურობაზე, იმ თვალსაზრისით, რომ კონკრეტული დაწესებულება ფასდება ექსპერტთა ორი განსხვავებული ჯგუფის მიერ, რომლებიც შესაძლებელია არ იზიარებდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიგნებებს და შესაბამისად გასცემდნენ რეკომენდაციებს სტანდარტის იმ კომპონენტებთან მიმართებით, რომელიც სრულ შესაბამისობაში იყო მიჩნეული ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ. აღნიშნულ საკითხს ეხმიანება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სამწლიანი ანგარიშების შემთხვევაში გაიცემა მხოლოდ რჩევები, ხოლო წინარე შეფასებაში არ იყო მოცემული არც რჩევები და არც რეკომენდაციები.

### **შეჯამება**

ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან დაკავშირებით შესწავლილი უსდ-ების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნებში მოცემული იყო 70 რეკომენდაცია და 27 რჩევა, ხოლო სამწლიანი ანგარიშის შეფასების დასკვნებში მოცემული იყო 21 რეკომენდაცია და 13 რჩევა. ანალიზის ფარგლებში გამოიკვეთა ზემოთხსენებულ ორ შეფასებაში კონცეპტუალურად მსგავსი რეკომენდაციები და რჩევები, ისე მკაფიო მიზეზშედეგობრივი კავშირები, რომლებიც წინა შეფასების გათვალისწინებით უსდ-ს სთავაზობდნენ გაუმჯობესების სამომავლო პერსპექტივებს. შეიძლება ითქვას, რომ მეორე სტანდარტში ვხვდებით გარკვეულ ბალანსს, განმავითარებელი შეფასებას, რომელიც სამწლიანი შეფასების დადებით მხარედ უნდა მივიჩნიოთ და ავტორიზაციის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხების გამეორებას შორის, რომელიც სამწლიანი შეფასების სერიოზული გამოწვევაა.

### 3. საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის მესამე სტანდარტი კონცენტრირებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე და მათ შესაბამისობაზე კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

#### 3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

ავტორიზაციის სტანდარტების მესამე კომპონენტთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამწლიანი შეფასების ფარგლებში იყო გაცემული რეკომენდაცია, ხოლო სხვა

დაწესებულებებში, მიუხედავად იმისა, რომ მათ აბსოლუტურ უმრავლესობას ასევე ჰქონდა მიღებული რეკომენდაციები ავტორიზაციის ფარგლებში, 3.1. კომპონენტში რეკომენდაციები არ გაცემულა.

იმ ერთ შემთხვევაში, სადაც მოცემულია რეკომენდაცია სამწლიანი ანგარიშის შესწავლის საფუძველზე, გაცემული რეკომენდაცია თითქმის იდენტურია ავტორიზაციის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციისა; თუმცა აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის შინაარსის გათვალისწინებით, რომელიც ასე ჟღერს:

*„მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება გამოყენებით სფეროებში, რომლებიც მიმართული იქნება რეგიონის ამჟამინდელ მოთხოვნებზე.“*

სახეზეა ისეთი ტიპის მითითება, რომლის განხორციელებასაც მნიშვნელოვანი დრო, კვლევა და სტრატეგიული დაგეგმვა სჭირდება; შესაბამისად, ამითაა განპირობებული მისი გაწერა ორივე შეფასების ფარგლებში, რომელიც მოიცავს მინიმუმ სამწლიან შუალედს.

ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შინაარსობრივი სპექტრი მრავალფეროვანია და ეხება ბევრ განსხვავებულ საკითხს, როგორცაა, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესებში, ინტერნაციონალიზაცია, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა ასპექტები და ა.შ. სამწლიანი შეფასების ლოგიკის

გათვალისწინებით, რეკომენდაციების აბსოლუტური უმრავლესობა შესრულებულია, რისი ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს იყოს, რომ ავტორიზაციის ფარგლებში შეფასებული ყველა დაწესებულება სამწლიან შეფასებამდე შუა პერიოდში უწყვეტად გადიოდა აკრედიტაციის შეფასებებს საგანმანათლებლო პროგრამებზე, შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ეს ერთ-ერთი განმაპირობებელი ყოფილიყო, დაწესებულებების უმრავლესობისათვის ამ მიმართულებით მიღწეული წარმატებებისა.

### **3.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

ავტორიზაციის სტანდარტების 3.2. კომპონენტთან მიმართებით, გაცილებით უფრო მრავალფეროვანი რეკომენდაციებია მოცემული, ვიდრე პირველ კომპონენტთან. როგორც ზემოთ ნახსენებ არაერთ კომპონენტში, პროგრამების სტრუქტურასთან და შინაარსთან მიმართებით, რეკომენდაციები მოცემულია სამწლიან ანგარიშებში. ეს რეკომენდაციები იმეორებენ წინა შეფასების პათოსს, თუმცა წარმოდგენილია ისეთი რეკომენდაციების, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული წინა შეფასებასთან და რეკომენდაციის ფორმულირებაში ნათლად იკითხება უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ცვლილებები და გაუმჯობესებული მხარეები.

### **3.3. სწავლის შედეგების შეფასება**

მსგავსად 3.1. კომპონენტისა, 3.3. კომპონენტშიც მხოლოდ ერთი დაწესებულებაა მოცემული, რომლის სამწლიანი შეფასების ფარგლებშიც გაცემულია რეკომენდაცია. აღსანიშნავია, რომ ამ კომპონენტში მნიშვნელოვნად ნაკლებია რეკომენდაციების რაოდენობა წინა ორ კომპონენტთან შედარებით, რაც შეიძლება ნაწილობრივ იმას მივაწეროთ, რომ 2018 წელს ჩატარებული ცვლილებების ფარგლებში უმაღლესი განათლების ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმებში, სწავლის შედეგები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად იქცა ავტორიზაციის, განსაკუთრებით კი, აკრედიტაციის ნაწილში. საკითხის სიახლე შეიძლება ერთ-ერთი განმაპირობებელი ყოფილიყო, რომ ზოგადად, ამ ნაწილში ნაკლებად იყო გაცემული რეკომენდაციები.

### **შეჯამება**

საერთო ჯამში, ავტორიზაციის მესამე სტანდარტთან მიმართებით ავტორიზაციის შეფასებებში გაცემული იყო 59 რეკომენდაცია და 28 რჩევა, ხოლო სამწლიან შეფასებებში, 5 რეკომენდაცია და 4 რჩევა. მესამე სტანდარტში რეკომენდაციების რაოდენობა განსაკუთრებით მწირი იყო სამწლიან შეფასებებთან მიმართებით, რაც, გარდა იმისა, რომ დაწესებულებებმა შეასრულეს ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები, ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს იმ გარემოებას, რომ ავტორიზაციის სტანდარტების პარალელურად მოხდა აკრედიტაციის სტანდარტების ცვლილებაც და ორ შეფასებას შორის ჩატარებული აკრედიტაციის შეფასებების გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა პროგრამების თვალსაზრისით თითოეულ შეფასებულ დაწესებულებაში.

#### **4. უსდ-ის პერსონალი**

ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტი კონცენტრირებულია უსდ-ს ადამიანური რესურსების, როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური, მართვასა და განვითარებაზე.

##### **4.1. პერსონალის მართვა**

პერსონალის მართვის კომპონენტში შეფასებული დაწესებულებებიდან 4-ის შემთხვევაში გაცემული იყო რეკომენდაციები სამწლიან შეფასებებში, ხოლო სხვა დანარჩენებთან მიმართებით რჩევებიც კი არ ყოფილა გაცემული.

საკითხის მნიშვნელობისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, პერსონალის მართვის კუთხით, სამწლიან შეფასებებთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებში ნათლად იკითხება შეფასებებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და უმრავლეს შემთხვევებში, ნათელია დაწესებულებების მიღწევები, რომლებიც განხორციელდა ავტორიზაციის პროცესის შემდეგ და ექსპერტთა რეკომენდაციები უკავშირდება უკვე მიღწეული შედეგების მეტად განვითარებას.

გარდა ამისა, 4.1. კომპონენტთან მიმართებით არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ავტორიზაციის შეფასების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციის შემდეგ მიღწეული შედეგების მიხედვით, შემოთავაზებულია ახალი რეკომენდაციები, რომელიც უფრო ფართო პერსპექტივაში განიხილავს კონკრეტული საკითხების განვითარებას.

მაგალითისათვის, ერთ-ერთ დაწესებულებასთან მიმართებით, გაცემულია შემდეგი რეკომენდაცია:

**ავტორიზაციის დასკვნა:**

*„საერთაშორისო პროგრამებსა და დონისძიებებში პერსონალის მონაწილეობის ხელშეწყობა და მხარდაჭერა“.*

**სამწლიანი შეფასება:**

*„რეკომენდირებულია, უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურმა გააძლიეროს მუშაობა ისეთი პროექტების მიმართულებით, რომელიც არ იქნება უნივერსიტეტისთვის დამატებითი ხარჯი და ამავდროულად, სრულად დაფარავს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხარჯს.“*

განხილული რეკომენდაციის ფარგლებში ნათლად ჩანს, რომ გარკვეული წინსვლა დანახული იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ხოლო ახალ რედაქციაში პერსონალის მართვაზე მეტად აქცენტი პირდაპირ ინტერნაციონალიზაციის განვითარებაზეა აღებული.

**4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა**

ავტორიზაციის სტანდარტის 4.2. კომპონენტის შემთხვევაში, სამწლიან შეფასებებში თითქმის არ არის რეკომენდაციები და რჩევები. ამ კომპონენტში მოცემულია ერთ-ერთი ისეთი შემთხვევა, როდესაც ავტორიზაციის შეფასების ფარგლებში არ იყო გაცემული რეკომენდაცია, თუმცა, რეკომენდაცია გაიცა სამწლიან შეფასებაში. გაცემულ რეკომენდაციაში საუბარია სტრატეგიული გეგმის შედგენისას პერსონალთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებაზე.

იმ ერთ შემთხვევაში, როდესაც მოცემულია რეკომენდაციები, როგორც ავტორიზაციის, ისე სამწლიანი შეფასების დასკვნაში, ძირითადი აქცენტი დასმულია ავტორიზაციის შეფასებაში გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, ხოლო რეკომენდაციების პათოსი მიუთითებს იმაზე, რომ ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულების მხრიდან გამოწვევების გასამკლავებლად არ იყო გაწეული სათანადო სამუშაო.

ზოგადად, გასათვალისწინებელია, რომ მოცემულ კომპონენტში თავად ავტორიზაციის დასკვნებში საკმაოდ მწირია რეკომენდაციებისა (7) და რჩევების (9) რაოდენობა.

## **შეჯამება**

პერსონალის სტანდარტთან მიმართებით, შესწავლილ ავტორიზაციის დასკვნებში სულ გაცემული იყო 45 რეკომენდაცია და 18 რჩევა, ხოლო სამწლიანი შეფასებების ფარგლებში გაიცა 11 რეკომენდაცია და 3 რჩევა. ავტორიზაციის ფარგლებში, 4.1. კომპონენტი იმით გამოირჩევა, რომ მასთან მიმართებით საკმაოდ ჭარბადაა მოცემული რეკომენდაციები, რაც არ შეიძლება ვთქვათ 4.2.-თან მიმართებით. სამწლიანი ანგარიშების ფარგლებში რეკომენდაციებისა და რჩევების სიმწირე ორივე კომპონენტში ცხადი იყო. ძირითადი მიგნება სტანდარტთან დაკავშირებით ის იყო, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც გვხვდებოდა რეკომენდაციები და რჩევები, მეტ-ნაკლებად ცხადად ჩანდა შეფასებების ურთიერთკავშირი და განგრძობადობა, ხოლო უმრავლეს შემთხვევებში კი, როდესაც არც ერთი იყო სახეზე და არც მეორე, ამ ურთიერთკავშირის დანახვა შეუძლებელი იყო.

## **5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის დონისძიებები**

ავტორიზაციი მეხუთე სტანდარტი კონცენტრირებულია უსდ-ს სტუდენტთა უფლებები დაცვასა და სტუდენტებზე ორიენტირებული გარემოს შექმნაზე, ასევე, სტუდენტთა ზოგად მხარდაჭერასა და ინფორმირებაზე.

### **5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები**

ავტორიზაციის მეხუთე სტანდარტის პირველ კომპონენტთან მიმართებით სამი დაწესებულების სამწლიანი შეფასების შემთხვევაშია გაცემული რეკომენდაციები, ხოლო სამი დაწესებულების შემთხვევაში მხოლოდ რჩევებია მოცემული.

როგორც სხვა სტანდარტებსა და კომპონენტებშიც, აღნიშნულ კომპონენტშიც მოცემულია ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების კონცეპტუალური გამეორების შეთხვევა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა უფლებებთან მიმართებით ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილია ისეთი რეკომენდაციები და

რჩევებს, რომლებიც უფრო მეტად შეესაბამება სამწლიანი შეფასების მიზანს და შეიძლება აღიქმებოდეს ხარისხის კულტურის განვითარებისაკენ გადადგმულ ნაბიჯად.

მაგალითად, ერთ-ერთ დაწესებულებასთან მიმართებით, 5.1. კომპონენტში ავტორიზაციის შეფასების ფარგლებში, სხვა რეკომენდაციებთან ერთად გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია:

*„სტრუქტურული და სისტემური გზით სცადეთ სტატუსშეჩერებული სტუდენტების დიდი რაოდენობის საკითხის მოგვარება და მხედველობაში მიიღეთ ყველა ის საფრთხე, რომელსაც ეს სიტუაცია შეიძლება უკავშირდებოდეს“.*

იმავე დაწესებულების სამწლიან შეფასებაში კი წარმოდგენილია კომპონენტით მოთხოვნილი კრიტერიუმებისადმი შემდეგი სახით განახლებული რეკომენდაციები:

*„უნივერსიტეტმა განაგრძოს სისტემური მუშაობა სტატუსშეჩერებული სტუდენტების დიდი რაოდენობის მოსაგვარებლად.“*

გარდა ამ რეკომენდაციისა ამავე დაწესებულების სამწლიან შეფასებაში არის რეკომენდაცია სტუდენტური კვლევების შესახებ; ამ საკითხთან დაკავშირებით ავტორიზაციის შეფასების ფარგლებში რეკომენდაცია მოცემულ კომპონენტში არ იყო გაცემული:

*„უსდ-მ უზრუნველყოს სტუდენტებში ინფორმაციის მაქსიმალური გავრცელება, თუ რა რეაგირება მოახდინა დაწესებულებამ სტუდენტური კვლევების შედეგად მიღებულ პრობლემატურ საკითხებზე“.*

მოცემული რეკომენდაციები, კონკრეტული დაწესებულების ფარგლებში, ნათლად აჩვენებს ორი შეფასების კავშირსა და ამასთან ერთად, სამწლიანი შეფასების შედეგად დანახულ ახალ გამოწვევებს, რომელთა გადაჭრაც ემსახურება კონკრეტული უსდ-ს ინსტიტუციურ განვითარებას.

მსგავსი პათოსია მოცემული რამდენიმე სხვა დაწესებულების შეთხვევაშიც, როდესაც მხოლოდ რჩევაა გაცემული და არა რეკომენდაცია. მაგალითად, წარმოდგენილია რჩევა

ერთ-ერთი დაწესებულებისადმი, რომელსაც ავტორიზაციის ფარგლებში არ ჰქონია მიღებული 5.1. კომპონენტში რჩევა ან რეკომენდაცია.

*„ინგლისურენოვან ვებგვერდზე განთავსდეს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული რეგულაციები და/ან გზამკვლევი, ისევე როგორც ადმინისტრაციული სტრუქტურების საკონტაქტო ინფორმაცია ინგლისურად უცხოელი სტუდენტებისთვის“.*

აღნიშნული რჩევა გამომდინარეობს იმ ცვლილებებიდან, რომელიც უნივერსიტეტში მოხდა ავტორიზაციის შეფასების შემდეგ და აღნიშნულ საკითხზე ყურადღების გამახვილება ექსპერტთა ჯგუფის მიერ დანახულია, როგორც ახლად აღმოცენებული გამოწვევის დაძლევის საშუალება.

## **5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

სტუდენტთა მხარდაჭერის ნაწილში მხოლოდ ორი უსდ-ს შემთხვევაში იყო გაცემული სამწლიან შეფასებებში როგორც რეკომენდაციები, ისე რჩევები. ამ კომპონენტში გაცემული რეკომენდაციები ძირითადად იმეორებდა ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შინაარსს და ნაკლები იყო ისეთი რჩევები/რეკომენდაციები, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ორ შეფასებას შორის ურთიერთკავშირის ან/და მიზეზშედეგობრიობის დანახვას ისეთი კუთხით, რომელსაც განმავითარებელი ხასიათი ექნებოდა დაწესებულებისათვის.

აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით მოცემულია ერთი შემთხვევა, როდესაც დაწესებულებამ ავტორიზაციის ფარგლებში 5.1. კომპონენტში მიიღო რჩევა, რომელიც სამწლიანი ანგარიშის ფარგლებში იქცა რეკომენდაციად. რჩევაც და შემდეგ რეკომენდაციაც იდენტურადაა ფორმულირებული:

*"ინდივიდუალური სასწავლო გეგმები უნდა იყოს გამონაკლისის სახით შერჩეული მცირე რაოდენობით სტუდენტებისათვის და არა ხშირი/საერთო პრაქტიკა, შეთავაზებული უნივერსიტეტის დიდი რაოდენობით სტუდენტებისათვის."*

მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შეიძლება კვლავ განიხილებოდეს შეფასებაში ინდივიდუალური ექსპერტების მიდგომების საკითხები, იმის გათვალისწინებით, რომ ამკარად სახეზეა ორი სხვადასხვა ექსპერტთა ჯგუფის მიერ იდენტური პრობლემის



სხვადასხვა ქრილში დანახვის შემთხვევა და ის ფაქტორიც, რომ ავტორიზაციის ფარგლებში, რჩევის სახით გამოკვეთილი საკითხი არ შესრულებულა 3 წლიანი შეფასების დადგომამდე, შეიძლება ნაწილობრივ მიეწეროს იმ გარემოებასაც, რომ შეფასების ფარგლებში რჩევა არ განიხილება სავალდებულო შესასრულებელ გარემოებად.

დამატებით, ასევე აღსანიშნავია, რომ ზოგადად, 5.2. კომპონენტში, ავტორიზაციის ფარგლებში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა მოცემული რეკომენდაციები თითქმის ყველა შესწავლილი დაწესებულების შემთხვევაში, თუმცა სამწლიან შეფასებებში გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებში ან მხოლოდ რეკომენდაციებში გაცემულ ერთ-ერთ საკითხზეა გამახვილებული ყურადღება, ანდა საერთოდ არ იყო რეკომენდაციები და რჩევები.

## **შეჯამება**


საერთო ჯამში, სტუდენტთა მხარდაჭერის სტანდარტში ავტორიზაციის შეფასებებში გაცემული იყო 45 რეკომენდაცია და 15 რჩევა, ხოლო სამწლიან შეფასებებში, 10 რეკომენდაცია და 6 რჩევა. ზოგადი თვალსაზრისით, კომპლექსურად ხდება სამი წლით ადრე არსებული გამოწვევების დაკავშირება არსებულ და ახლად აღმოცენებულ პრობლემებთან და როგორც რეკომენდაციებით, ისე რჩევებით შემოთავაზებულია როგორც უკვე ცნობილი ისე ახლად აღმოცენებული საკითხების გადაჭრის გზები. მიუხედავად ამისა, ასევე სახეზე გვაქვს როგორც რეკომენდაციების დუბლირების შემთხვევები, ისე ზოგიერთი ისეთი გარემოება, რომელიც ახალისებს მსჯელობას შეფასებაში შესაძლო სუბიექტურობის ელემენტისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

## **6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**

ავტორიზაციის მეექვსე სტანდარტი, იღებს რა მხედველობაში დაწესებულების ტიპს, კონცენტრირებულია უსდ-ს კვლევითი პოტენციალის განვითარებაზე.

### **6.1. კვლევითი საქმიანობა**

კვლევითი საქმიანობის კომპონენტთან მიმართებით, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ შესწავლილი დაწესებულებებიდან 9-ს ჰქონდა მიღებული რეკომენდაციები



სამწლიანი ანგარიშის ფარგლებში. ზოგადად როგორც ეს ქვე-სტანდარტი, ისე მეექვსე სტანდარტის ორი დანარჩენი კომპონენტი, გამოირჩევა რეკომენდაციების სიმრავლით, როგორც ავტორიზაციის შეფასებაში, ისე სამწლიან შეფასებებში.

მეექვსე სტანდარტის პირველ კომპონენტთან მიმართებით მთელ რიგ შემთხვევებში აღგილი აქვს ავტორიზაციის დასკვნაში გაცემული რეკომენდაციის შინაარსობრივ გამეორებას. ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილია სიტყვა-სიტყვით იდენტურ რეკომენდაცია, ზოგჯერ კი მხოლოდ განსხვავებული ფორმულირებები. ერთ-ერთ შემთხვევაში რეკომენდაცია პირდაპირ ეხება ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საჭიროებას უსდ-ს მხრიდან.

რამდენიმე დაწესებულებასთან მიმართებით გაცემულია რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც საკმაოდ კარგად შეიძლება დაუკავშირდეს სამწლიანი ანგარიშის წარმოდგენისა და შეფასების იდეას. კერძოდ, ორ უსდ-სთან მიმართებით იყო რეკომენდაციები, სადაც საუბარია კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრაზე. იმის გათვალისწინებით, რომ სხვა რეკომენდაციები აღნიშნულ კომპონენტში არ არის გაცემული მოცემულ დაწესებულებებთან მიმართებით, ამ საკითხების წამოჭრა სამწლიან შეფასებაში გარკვეულ თანმიმდევრულობაზე და ბევრი სხვა შემთხვევისგან განსხვავებით, არა საბაზისო ტიპის რეკომენდაციებზე, არამედ კვლევის სტრატეგიული ხედვის განსაზღვრის აუცილებლობაზე მიუთითებს.

მსგავსი რეკომენდაცია მოცემულია ერთ-ერთ სხვა დაწესებულებასთან მიმართებითაც, რომელშიც ავტორიზაციის შეფასების ფარგლებში გაცემული იყო რამდენიმე რეკომენდაცია, კვლევისათვის საერთაშორისო დაფინანსების მოზიდვასა და თეზისების დაცვის პროცესებთან დაკავშირებით, ხოლო სამწლიან შეფასებაში კი მხოლოდ ერთი რეკომენდაციაა გაცემული, რომელიც ეხება დაწესებულების მხრიდან კვლევითი ხედვის ჩამოყალიბებას. როგორც წინა შემთხვევებში, მოცემულ შემთხვევაშიც, შესაძლებელია მსგავსი დასკვნის გაკეთება, რომ საბაზისო რეკომენდაციების ნაცვლად საქმე ეხება სტრატეგიული მნიშვნელობის რეკომენდაციას, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება ჰქონდეს ინსტიტუციურ განვითარებაზე.

მსგავსი ტენდენცია შეინიშნება კიდევ ერთ უსდ-სთან მიმართებითაც, სადაც ავტორიზაციის ფარგლებში რეკომენდაციები ეხებოდა ნორმატიული რეგულაციების გამართვას კვლევით საქმიანობასთან მიმართებით, ხოლო სამწლიანი შეფასების ფარგლებში ძირითადად მოცემული იყო რეკომენდაციები პოტენციალის გაზრდის შესახებ, პირველ რიგში ადამიანური რესურსის თვალსაზრისით.

გარდა ზემოთ ხსენებული ტენდენციებისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, როგორც კომპონენტების უმრავლესობაში, უფრო ნაკლებია რეკომენდაციები სამწლიან ანგარიშებში, ვიდრე ავტორიზაციის დასკვნაში, თუმცა, 6.1. კომპონენტში განსაკუთრებულად ცხადად ჩანს ტენდენცია, რომ მიუხედავად ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების სავარაუდო შესრულებისა, რიგი გასაუმჯობესებელი საკითხებისა მაინც ფიგურირებს თითქმის ყველა დაწესებულების შემთხვევაში და სამწლიანი შეფასება შესაძლებელია განსაკუთრებით კარგი ინსტრუმენტი იყოს დაწესებულებების კვლევითი პოტენციალის განვითარების თვალსაზრისით, აკადემიური შეფასების საშუალებით.

## **6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია**

კვლევის მხარდაჭერისა და ინტერნაციონალიზაციის კომპონენტთან მიმართებით, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ავტორიზაციის შეფასების ფარგლებში ეს კომპონენტი განსხვავებული მიდგომებით ფასდება სხვადასხვა ინსტიტუციებთან მიმართებით, მათი ტიპისა და მისიის გათვალისწინებით. კერძოდ, უნივერსიტეტებისადმი დაწესებული მოთხოვნები ამ კუთხით უფრო მაღალია, ვიდრე სასწავლო უნივერსიტეტების ან კოლეჯებისადმი.

ზოგადად, 6.2. კომპონენტში მოცემული ტენდენციები მეტ-ნაკლებად ჰგავს 6.1. კომპონენტში მოცემულ ტენდენციებს, თუმცა აქ მხოლოდ შვიდ დაწესებულებასთან არის გაცემული ამ ტიპის რეკომენდაციები სამწლიან შეფასებებში და ამასთან ერთად კი, შედარებით მეტია ავტორიზაციის შეფასების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შინაარსობრივი გამეორების შემთხვევები.

რამდენიმე უსდ-ს შემთხვევაში კარგად ჩანს, რომ ექსპერტები ხედავენ გარკვეულ პროგრესს იმ მდგომარეობიდან, რომელიც იყო ავტორიზაციის შეფასების

განხორციელებისას. ამაზე მეტყველებს ისეთი ტიპის რეკომენდაციები, რომლებიც მიუთითებენ გაწეული სამუშაოების გაგრძელებისა და შემდეგი გაუმჯობესების აუცილებლობას.

ერთ-ერთ დაწესებულებასთან მიმართებით ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული იყო ცხრა რეკომენდაცია, ხოლო სამწლიან შეფასებაში გაიცა შვიდი რეკომენდაცია. მიუხედავად ბევრი საკითხის გამეორებისა, არის თვისებრივი განსხვავებებაც, რომელიც კვლავაც მიუთითებს განხორციელებულ პროგრესზე.

ზოგადად, კომპონენტის მოთხოვნების გათვალისწინებით, დაწესებულების უმრავლესობასთან მიმართებით, ჭარბობს რეკომენდაციები კვლევის პოტენციალის გაუმჯობესების სხვადასხვა მიმართულებებით, კვლევის ინტერნაციონალიზაციისა და მეტი საერთაშორისო ხილვადობის/ჩართულობის შესახებ როგორც პერსონალის, ისე სტუდენტების დონეზე. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ასევე ინგლისური ენის გაუმჯობესების საკითხებს, რომელიც აქტუალურია როგორც ავტორიზაციის დასკვნებში, ისე სამწლიან შეფასებებში.

### **6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება**

კვლევითი საქმიანობის შეფასების ნაწილში ექვს დაწესებულებასთან მიმართებით სამწლიან შეფასებაში გაცემულია მხოლოდ რეკომენდაციები და არა რჩევები.. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ კომპონენტში საკმაოდ ბევრია რეკომენდაციების შინაარსობრივი გამეორების შემთხვევები. იმ დაწესებულებების უმრავლესობაში, სადაც რეკომენდაციებია გაცემული სამწლიან შეფასებაში, ნაწილობრივ მაინც კეთდება აქცენტები იმ საკითხების გაუმჯობესების საჭიროებაზე, რომელზეც რეკომენდაციები უკვე გაცემული იყო ავტორიზაციის შეფასების ფარგლებში.

ძირთადი გამოწვევა დაწესებულების უმრავლესობისათვის კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემის შექმნა და დახვეწაა. ზოგიერთ შემთხვევაში კი საუბარია ინსტიტუციის ფარგლებში ამ სისტემის ნორმატიულ გამართვაზეც.

ზოგიერთ შემთხვევაში ჩანს გარკვეული ურთიერთკავშირი ავტორიზაციის დასკვნასთან, განმავითარებელი შეფასების თვალსაზრისით და რამდენიმე დაწესებულებასთან

მიმართებით ვხვდებით გარკვეული მიღწევების აღიარებას. ერთ-ერთ დასკვნაში საუბარია შეფასების სისტემაში კრიტერიუმების განსაზღვრასა და დახვეწაზე მომდევნო ავტორიზაციის პერიოდის დადგომამდე.

საერთო ჯამში, მიუხედავად გარკვეული პოზიტიური ტენდენციებისა, აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით საკმაოდ რთულია გაცემულ რეკომენდაციებში განმავითარებელი შეფასების, როგორც ძირითადი მოტივის დანახვა და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთმა დაწესებულებამ, რომელთაც ჰქონდათ მიღებული რეკომენდაციები ავტორიზაციის ფარგლებში და აღარ მიუღიათ დამატებითი რეკომენდაცია სამწლიან შეფასებაში, უკვე იმუშავეს და გააუმჯობესეს კვლევის შეფასების მექანიზმები, ხოლო სხვა დაწესებულებების უმრავლესობაში კი იგივე გამოწვევები რჩება აქტუალური, რაც სამი წლით ადრე არსებობდა.

### **შეჯამება**

აღსანიშნავია, რომ კვლევის კომპონენტთან მიმართებით ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული იყო ერთ-ერთი ყველაზე მეტი, 75 რეკომენდაცია და 26 რჩევა. ხოლო 3 წლიან ანგარიშებში წარმოდგენილია 40 რეკომენდაცია და 3 რჩევა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვა სტანდარტებთან და კომპონენტებთან შედარებით, კვლევასთან მიმართებით სამწლიან ანგარიშებში გამორჩეულად ბევრი რეკომენდაციაა გაცემული. ზოგადი ტენდენციები მნიშვნელოვნად ვარირებს კომპონენტებს შორის, 6.1. კომპონენტთან მიმართებით ყველაზე მეტად ჭარბობს განვითარებაზე ორიენტირებული შეფასებები, სადაც მეტ-ნაკლებად მკაფიოდაა გამოკვეთილი ორი შეფასების ურთიერთკავშირი და გარკვეული განგრძობადობა იგრძნობა, ხოლო 6.2. და განსაკუთრებით 6.3. კომპონენტებში, გაცილებით უფრო მეტია ავტორიზაციის შეფასებაში გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების გამოკრების შემთხვევები. აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ 6.1. კომპონენტის მოთხოვნები მნიშვნელოვნად განაპირობებს 6.2. და 6.3. კომპონენტების მოთხოვნებს და იმის გათვალისწინებით, რომ კვლევითი საქმიანობის ნაწილში ყველაზე მეტად მოცემულია განმავითარებელი ხასიათის შენიშვნები, შეიძლება აღქმული იყოს დადებით მოვლენად.

## **7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

ავტორიზაციის მეშვიდე სტანდარტი კონცენტირებულია უსდ-ს მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების მდგრად ფუნქციონირებასა და განვითარებაზე.

### **7.1. მატერიალური რესურსი**

ავტორიზაციის მე-7 სტანდარტის პირველ კომპონენტთან მიმართებით, მხოლოდ 4 დაწესებულებასთან მიმართებით იყო იყო გაცემული რეკომენდაციები სამწლიანი ანგარიშების შეფასების ფარგლებში, ხოლო უმრავლეს შემთხვევებში არ იყო გაცემული რჩევები და რეკომენდაციები.


აღსანიშნავია, რომ მატერიალური რესურსის კომპონენტში, იმ დაწესებულებებთან მიმართებით, სადაც კვლავ იყო გაცემული რეკომენდაციები სამწლიანი შეფასებებში, ძირითადად მეორედბოდა ავტორიზაციის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შინაარსი. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა რეკომენდაციების სრულ დუბლირებას, სხვა შემთხვევებში კი მიუხედავად რეკომენდაციების განსხვავებული ფორმულირებისა, გვხვდებოდა შინაარსობრივად იდენტური მითითება.

თემატურად, რეკომენდაციები მრავალფეროვანი იყო, თავად დაწესებულებების სპექტრის მრავალფეროვნების გათვალისწინებით, და ეხებოდა შშმ-პირებისათვის გარემოს ადაპტირებას, სამედიცინო სწავლების ბაზის განვრცობას, ზოგად სასწავლო და კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარებას და ა.შ.

### **7.2. საბიბლიოთეკო რესურსი**

ავტორიზაციის 7.2 კომპონენტთან მიმართებით, სამწლიანი ანგარიშების შეფასებისას, 7.1. კომპონენტის მსგავსად, ოთხ დაწესებულებასთან მიმართებით იყო გაცემული რეკომენდაციები, ხოლო 1 დაწესებულებასთან მიმართებით მხოლოდ რჩევა. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ ოთხი დაწესებულებიდან ერთ-ერთთან მიმართებით, რეკომენდაცია გაიცა მხოლოდ სამწლიანი შეფასების ფარგლებში, ავტორიზაციის ფარგლებში კი მხოლოდ რჩევა იყო გაცემული.

აღსანიშნავია, რომ საბიბლიოთეკო რესურსების კომპონენტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციების უმრავლესობა შინაარსობრივად ახალი იყო და მხოლოდ ერთ



კომპონენტთან მიმართებით იყო შინაარსობრივი დუბლირების შემთხვევა. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ მხოლოდ ერთი რეკომენდაციის შემთხვევაში გახდა შესაძლებელი ავტორიზაციის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციასთან კავშირისა და განხორციელებული პროგრესის იდენტიფიცირება. თემატურად ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი აქცენტები სამწლიანი ანგარიშების ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებში კეთდებოდა ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე წვდომის განვითარებასა და გამოყენების ხელშეწყობაზე.

### **7.3. საინფორმაციო რესურსი**

საინფორმაციო რესურსის კომპონენტში მხოლოდ ერთი დაწესებულებისადმი იყო გაცემული რეკომენდაცია სამწლიანი შეფასებების ფარგლებში და ერთისადმი კი რჩევა. აღსანიშნავია, რომ იმ დაწესებულების შემთხვევაში, რომელმაც რეკომენდაცია მიიღო, ავტორიზაციის ფარგლებში მხოლოდ რჩევა იყო გაცემული, ხოლო გაცემული რეკომენდაცია კი შინაარსობრივად განსხვავდებოდა ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რჩევისაგან. იმ შემთხვევაში, როდესაც რჩევა იყო გაცემული, ავტორიზაციის ფარგლებში უსდ-ს არ ჰქონდა მიღებული კომპონენტში არც რჩევა და არც რეკომენდაცია.

თემატურად, აქცენტი გაკეთებული იყო უსდ-ების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობაზე და რეკომენდაციებისა და რჩევების ის მწირი რაოდენობა, რომელიც გაცემული იყო სამწლიან შეფასებებში, სწორედ ამ საკითხებს ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ 7.3. კომპონენტი ერთ-ერთი იშვიათია, რომლის ფარგლებშიც არ იყო მოცემული ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების თემატური დუბლირება, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, თავად გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების რაოდენობა ძალიან მცირე იყო.

### **7.4. ფინანსური რესურსი**

ფინანსური რესურსების კომპონენტში ორ დაწესებულებასთან მიმართებით იყო გაცემული რეკომენდაცია სამწლიანი ანგარიშის შეფასების ფარგლებში. ორსავე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების

შინაარსობრივ დუბლირებას, რომელიც, ორივე შემთხვევაში მიუთითებდა, რომ დაწესებულებებს ჯერ კიდევ სამუშაო ჰქონდათ იმ რეკომენდაციებზე, რომელიც გაცემული იყო ავტორიზაციის ფარგლებში.

შინაარსობრივად რეკომენდაციები ეხებოდა ფინანსური ანგარიშების საჯაროდ ხელმისაწვდომობასა და ფინანსური რესურსების გათვალისწინებას სამოქმედო გეგმის დაგეგმვისას.

### **შეჯამება**

საერთო ჯამში, ავტორიზაციის მეშვიდე სტანდარტთან მიმართებით, ავტორიზაციის დასკვნებში გაცემული იყო 72 რეკომენდაცია 38 რჩევა, ხოლო სამწლიანი ანგარიშების შეფასების ფარგლებში კი 15 რეკომენდაცია 4 რჩევა. ზოგადად, სხვა სტანდარტებთან შედარებისას, მეშვიდე სტანდარტის ფარგლებში თვალშისაცემია სამწლიან ანგარიშებში რეკომენდაციების შედარებით ნაკლები რაოდენობა, ხოლო იმ შემთხვევებში კი, როდესაც რეკომენდაციები და რჩევები მაინც არის მოცემული, მათი საკმაოდ დიდი ნაწილი შინაარსობრივად იმეორებს ავტორიზაციის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებს, და ნაკლებად არის მოცემული, როგორც განვითარებაზე ორიენტირებული შენიშვნები, ისე რაიმე ტიპის ახალი აქცენტები.

### **უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის 3-წლიანი შუალედური შეფასების დასკვნები**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შემთხვევაში, ხელმისაწვდომი დასკვნების (წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით შერჩეული უსდ-ები, ჯამში 12 დასკვნა) გამოყენებით, განხორციელდა მე-5 სტანდარტის ანალიზი განგრძობით პროგრესთან მიმართებით. თუმცა, ამ ამოცანის შესრულება თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა, რამდენადაც ექსპერტების მხრიდან შესაბამისი ნაწილების 95% შეუვსებელია და ამგვარივე ფორმითაა დასკვნები საბოლოო ეტაპამდე მიყვანილი და დაწესებულებისათვის ჩაბარებული. გამონაკლისი მხოლოდ ერთი დასკვნაა ერთ-ერთი სამაგისტრო პროგრამის შესახებ, რომელშიც რამდენიმე რჩევაა



გაცემული, თუმცა, აღნიშნული რჩევებიც უფრო დამაზუსტებელი-ტექნიკური ხასიათისაა და არსებითად განმავითარებელ დანიშნულებას არ ატარებს.

აღნიშნული სტანდარტის ქვეშ ანალიზის არ არსებობა პირდაპირ უკავშირდება იმ ფაქტს, რომ თავდაპირველ შეფასებებში არ ყოფილა გაცემული რეკომენდაცია პირვანდელი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან და ამ მხრივ, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტებიც ცარიელია შესაბამის ნაწილში. თუმცა, მაგრამ მეორე მხრივ, პროცესის დანიშნულება შუალედური პროგრესის, გამოწვევებისა და განვითარების დემონსტრირებაა, ხარისხის კულტურის დანერგვის ქრილში, რაც სახეზე არ გვაქვს არც დაწესებულების და არც ექსპერტთა მხრიდან. მათ შორის არაა მოცემული რეფლექსია პირვანდელი ჯგუფის მიერ გაცემული რჩევების თაობაზე. ეს გარემოება შეიძლება ითქვას, რომ ნათლად წარმოაჩინს შინაარსობრივ გამოწვევებს და ზოგადად, კითხვის ქვეშ აყენებს თავად პროგრამების აკრედიტაციის პროცესისა და შეფასების ფორმების დიზაინსა და დანიშნულებას.

### **სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება**

სამოქმედო გეგმის შესრულების ნაწილში აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ დასკვნებში იყო მნიშვნელოვანი ვარიაციები ფორმატში. კერძოდ, უმეტეს შემთხვევაში, დასკვნის ბოლოს მოთავსებული ცხრილი იყო შევსებულ ერთხელ და დართული ჰქონდა მოკლე თვისებრივი ანალიზი იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა აღნიშნული შეფასების დაწერა. თუმცა, რამდენიმე შეფასების ნაწილში, ასევე წარმოდგენილი იყო მიზნების/ამოცანების/აქტივობების შესრულების უფრო დეტალური შეფასებები.

თემატური ანალიზის ფარგლებში შესწავლილ დაწესებულებასთან მიმართებით სამწლიანი ანგარიშის შესახებ შესრულებულ დასკვნებში ძირითადად იკვეთებოდა სამოქმედო გეგმის მეტწილად შესრულებულად შეფასების ტენდენცია. უფრო კონკრეტულად, იმ უსდ-ების შემთხვევაში, რომელთა ანგარიშშიც შეფასების მხოლოდ ერთი ცხრილი იყო მოცემული (ასეთი შეადგენდა უმრავლესობას: 13 დან 10-ს), მხოლოდ ორი დაწესებულების შემთხვევაში იყო მითითებული სრული შესაბამისობა, შვიდი დაწესებულების შემთხვევაში შეფასება იყო მეტწილად შესაბამისობა, ხოლო 1 დაწესებულების შემთხვევაში, ნაწილობრივ შესაბამისობას ჰქონდა ადგილი.

დაახლოებით იდენტური სურათია იმ დაწესებულებების შემთხვევაშიც, რომლებთან მიმართებითაც ექსპერტებს უფრო დეტალურად ჰქონდათ ჩამოილი შეფასებები. უმეტეს შემთხვევებში იყო მეტწილად შესრულების სურათი. ზოგიერთ შემთხვევაში, თუმცა საკმაოდ იშვიათად, მოცემულია ნაწილობრივი შეფასებები და მხოლოდ გამონაკლის და ძირითადად ისეთ შემთხვევებში, სადაც მოცემულია ძალიან დეტალური ანალიზი, ცალკეული აქტივობების დონეზე. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც მითითებულია რეკომენდაციების არ-შესრულების შესახებ.

თვისებრივ ნაწილში, რომელიც თან ერთვის 13 დაწესებულებიდან თითოეულის შეფასებას, განსხვავებული მასშტაბებით, როგორც წესი იკვეთება დამაკმაყოფილებელი საერთო სურათი. კერძოდ, ზოგიერთი დაწესებულების შემთხვევაში მოცემულია მეტი ანალიზის ნაწილი, ზოგიერთის შემთხვევაში კი მხოლოდ რამდენიმე წინადადება. თუმცა, უმეტეს შემთხვევებში აღწერილია დაწესებულების მხრიდან გაწეული შრომა და საჭიროების შემთხვევაში გამოკვეთილია გასაუმჯობესებელი მხარეები.

## **ინტერვიუების შედეგები**

### **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები**

#### **სამწლიანი შეფასების შესაბამისობა მიზნებთან**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების მიერ სამწლიანი ანგარიშების წარმოდგენის მიზნების განსაზღვრისას აქცენტი ძირითადად კეთდებოდა შუალედური შეფასების მნიშვნელობაზე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ციკლებს შორის. გარდა ამისა, დაწესებულებების წარმომადგენლების ნარატივებში სამწლიანი ანგარიშების მიზანთან მიმართებით ხშირად იყო ნახსენები ფრაზა: „ტონუსში ყოფნა“, რომლითაც მითითებული იყო იმაზე, რასაც ისინი ხედავდნენ ცენტრის მიზნად, რომ უსდ-ები ავტორიზაცია-აკრედიტაციის ციკლებს შორის არ „მოღუნდნენ“ და განგრძობითად იყვნენ ჩართული თვითშეფასების პროცესში. როგორც ერთ-ერთი დაწესებულების წარმომადგენელი შენიშნავდა:

*“7 წელი არ არის მოკლე სააკრუდიტაციო ვადა და შესაძლებელია ამ პერიოდში გარკვეული რეცეპტორები მოდუნდეს, პროცესებზე არ გაამახვილონ სათანადო ყურადღება, ამ თვალსაზრისით ანგარიშის შემუშავება ცუდი არ არის.”*

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში დაწესებულების წარმომადგენლები არ აფასებდნენ დადებითად მარეგულირებლის მხრიდან დაწესებულებების მიმართ, „ტონუსში ყოფნის“ პოლიტიკის განხორციელებას და მიუთითებდნენ შიდა ინსტიტუციური მექანიზმების გამართული მუშაობის საჭიროების შესახებ, რომლის ფარგლებშიც არ იქნებოდა საჭირო უნივერსიტეტის მუდმივ გარე შეფასების პროცესში ყოფნა.

დაწესებულებების წარმომადგენლებს არაერთგვაროვანი პოზიციები ჰქონდათ, თუ რამდენად გადის სამწლიანი ანგარიშები იმ მიზანზე, რომელსაც ეს შეფასება სახავს. მიუხედავად იმისა, რომ შეფასების ჩანაფიქრი უმეტეს შემთხვევებში დადებითად იყო შეფასებული, რეალური სარგებელი, რომელსაც შეფასებიდან იღებდნენ, დაწესებულებების წარმომადგენლების აზრით უმეტესწილად არ იყო არსებითი, ფორმალური მოთხოვნებისა და სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით, რომელსაც აღნიშნული ანგარიშების წარმოდგენა მოითხოვს დაწესებულებებისათვის. როგორც ერთ-ერთი დაწესებულების წარმომადგენელი განმარტავდა:

*„3 წლიანი ანგარიშების მოდელი, იდეის დონეზე არ არის ცუდი, მუალედური, განმავითარებელი შეფასების მიცემა პროგრამებისთვის, თუმცა ამ პროცესში ვხედავ ერთ დაბრკოლებას. ამ ტიპის შეფასება არ უნდა იყოს დანახული და აღქმული როგორც დამატებით კიდევ ერთი ბიუროკრატიული მექანიზმი. თუ ეს პროცესი ამგვარად აღიქმება, ის საბოლოოდ არ იმუშავებს და შემაფერხებელიც კი შეიძლება იყოს.“*

„ბიუროკრატია“ არაერთხელ იყო ნახსენები ინტერვიუებში უარყოფით კონტექსტში და ამ დახასიათებით უსდ-ების წარმომადგენლები ძირითადად მიუთითებდნენ ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებასა და შეფასებას, როგორც თავად მიზანს, რომელსაც არ მოაქვს რაიმე შედეგი დაწესებულებისათვის და იქცევა დამატებით ადმინისტრაციულ

მოვალეობად, რომელიც, თავის მხრივ, ზრდის უსდ-ს პერსონალის სამუშაო დატვირთვას.

### **შეფასების ეფექტიანობა და ეფექტურობა**

ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხი ინტერვიუებში იყო ის, თუ რამდენად შეესაბამება სამწლიანი ანგარიშების მომზადებაში დახარჯული რესურსები იმ შედეგებს, რომელსაც იღებენ შეფასების ფარგლებში. როგორც ზემოთ უკვე იყო ნახსენები, ამ საკითხზე დაწესებულებების წარმომადგენლების ძირითადი ნაწილის პოზიციის თანახმად, დახარჯული დრო და რესურსები უფრო მეტი იყო, ვიდრე შეფასების საშუალებით მიღებული შედეგები. როგორც ორი განსხვავებული უსდ-ს წარმომადგენლები შენიშნავდნენ:

*„ის ძალისხმევა რაც სამ-წლიანი ანგარიშების მომზადებას სჭირდება, არ უტოლდება იმ ბენეფიტებს, რაც პროგრამის ხარისხის განვითარებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ“.*

*„3 წლიანი ანგარიშის წარმოდგენა ზედმეტი რესურსის ხარჯვაა როგორც დაწესებულებისათვის, ასევე ცენტრისთვის“.*

უმეტესწილად კრიტიკულად და ნაკლები პრაქტიკული გამოყენებადობის მატარებლად იყო მიჩნეული სამწლიანი შეფასებების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციებიც. ერთ-ერთ შემთხვევაში კი უსდ-ს წარმომადგენელი საუბრობდა ამ შეფასებების ფარგლებში ისეთი ახალი რეკომენდაციების გაჩენის საკითხზე, რომლებიც ავტორიზაცია-აკრედიტაციის ფარგლებში არ იყო გაცემული და ხაზს უსვამდა ერთგვარ დაბნეულობას, რომელსაც ეს-უკანასკნელი იწვევდა, რადგან თავად ანგარიში აგებულია შეფასების პროცესში მიღებულ რეკომენდაციებზე და ახალი რეკომენდაციის გაჩენა ნიშნავდა ახალ ვალდებულებებს.

ერთ-ერთი უსდ-ს წარმომადგენელი მიუთითებდა ანგარიშების შინაარსის დუბლირების საჭიროებაზე, რომელიც იმიტომ ხდებოდა, რომ რიგ შემთხვევებში პროგრამებს, რომელთაც ისედაც ჰქონდათ საბჭოს მიერ განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენა რეკომენდაციების შესრულების შესახებ, უწევდათ თითქმის იდენტური საკითხების

ასახვა ამჯერად სამწლიანი ანგარიშის ფარგლებში. მისი თქმით, ასეთი ტიპის პროგრამებისათვის არ იყო რაიმე ტიპის შედეგის მომტანი სამწლიანი შეფასების განხორციელება, თუმცა შენიშნავდა, რომ სრულად აკრედიტებული პროგრამებისათვის, რომელთაც არ უწევდათ რაიმე ტიპის გარე-შეფასება აკრედიტაციის მომდევნო ციკლამდე, სამწლიანი შეფასება შესაძლებელია ყოფილიყო მეტად სასარგებლო.

### **ხარისხის კულტურა და ინსტიტუციური განვითარება**

როგორც კონკრეტულად სამწლიანი შეფასებების, ისე ზოგადად უმაღლესი განათლების ხარისხის გარე უზრუნველყოფის მიზნების გათვალისწინებით, კვლევის ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტები იყო გაკეთებული ხარისხის კულტურის აღქმაზე დაწესებულებების მხრიდან და ამ უკანასკნელის კავშირზე სამწლიან შეფასებებთან. დაწესებულებების წარმომადგენლების მხრიდან ძირითადად მოყვანილი იყო ხარისხის კულტურის უფრო „მყარი“ გაგება და გაიგივებული იყო ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებთან, რეგულაციებთან და დაინერესებული მხარეების ჩართულობასთან ამ პროცესებში.

როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, თითქმის ყველა უსდ-ს, რომელთაც წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ ინტერვიუებში, შემუშავებული აქვს გარკვეული ადმინისტრაციული დღის წესრიგი სამწლიანი ანგარიშების შედეგისა და თვითშეფასების პროცესის განხორციელებისათვის. თუმცა, ასევე უმრავლესობის შენიშვნით, მსგავსი მექანიზმები უკვე არსებობდა დაწესებულებებში ავტორიზაციისა და უფრო მეტწილად აკრედიტაციის პროცესის განხორციელების მიზნით და სამწლიან ანგარიშებზე მუშაობამ კი, მნიშვნელოვნად გაზარდა უსდ-ების სამუშაო დატვირთვა,

გარდა ამისა, ინტერვიუებში გამოიკვეთა გარკვეული ნარატივები, რომლებიც სამწლიანი ანგარიშების წარმოდგენისა და შეფასების პრაქტიკას უკავშირებდა უსდ-ების ინსტიტუციურ განვითარებას. ამ კუთხით, რესპონდენტებისაგან ორი განსხვავებული პერსპექტივა იყო წარმოდგენილი. ერთ შემთხვევაში ხდებოდა დაწესებულებების გამიჯვნა, როგორც უფრო მეტად და ნაკლებად წარმატებულებისა და განვითარებულებისა. შესაბამისად, ამ ნარატივის თანახმად, სამწლიანი ანგარიშები უფრო სასარგებლო იქნებოდა ნაკლებად განვითარებული დაწესებულებებისათვის,


რომელთაც, რესპონდენტების მოსაზრებით, სჭირდებოდათ მეტი გარე კონტროლი და ანგარიშვალდებულების მექანიზმების არსებობა. მეორე შემთხვევაში კი, ზოგადად მიეთითებოდა იმაზე, რომ მთლიანად ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში უსდ-ების ინსტიტუციური განვითარების პროცესი ჯერ კიდევ არ იყო ისეთ საფეხურზე, რომლის ფარგლებშიც დაწესებულებებისათვის არ იქნებოდა მნიშვნელოვანი ასეთი ტიპის შეფასების განხორციელება. შესაბამისად, ამ ნარატივის თანახმად, მიუხედავად შეფასებასთან ასოცირებული გამოწვევებისა, მაინც საჭირო იყო სამწლიანი შეფასებების განხორციელება. თუმცა, მიუხედავად ნარატივის ტიპისა, საერთო ჯამში, რესპონდენტები ნაკლებად ხელაძენენ სამწლიან შეფასებებს, როგორც ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერის რესურსს უსდ-ებისათვის.

### **ექსპერტების ჩართულობა და კომუნიკაცია**

ერთ-ერთი საკითხი, რომლის შემთხვევაშიც უსდ-ს წარმომადგენლებმა მწვავე კრიტიკა გამოხატეს, იყო შეფასების ფარგლებში ინტერაქციის შესაძლებლობის არქონა. მოცემული შეფასება ძირითადად იმით იყო განპირობებული, რომ დასკვნა ანგარიშის შეფასების შესახებ იწერება მხოლოდ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და არ არის მოთხოვნილი პროცესის მიხედვით ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება პრობლემურ საკითხებზე დაინტერესებული მხარეებისაგან დაწესებულების პოზიციების მოსმენა. მიუხედავად იმისა, რომ პროცესის ფარგლებში უსდ უფლებამოსილია შეადგინოს არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, უსდ-ების წარმომადგენლების მიხედვით, როგორც წესი, არგუმენტირებულ პოზიციაში მოცემული გარემოებები არ არის გათვალისწინებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

შეფასების მიზნებთან მიმართებით ასევე ნახსენები იყო სწორი კომუნიკაციის მნიშვნელობაც თავად დაწესებულებების შიგნით. სხვადასხვა კონტექსტში, აქტიურად იყო გამოკვეთილი იდეა და საჭიროება იმისა, რომ უნივერსიტეტების პერსონალს უკეთ გაეცნობიერებინა შეფასების მიზნები, რომ მეტი დაინტერესებით ყოფილიყვნენ ეს უკანასკნელნი ჩართული თვითშეფასების პროცესში.

### **პროცესის გაუმჯობესების შესაძლებლობები უსდ-ების პერსპექტივიდან**



ზოგიერთ შემთხვევაში უსდ-ების წარმომადგენლები გამოთქვამდნენ მოსაზრებებს სამწლიანი შეფასებების პროცესების გასაუმჯობესებლად. იყო შემთავაზება, რომ უნივერსიტეტების ანგარიშვალდებულების ნაწილში ინტეგრირებული ყოფილიყო მეტი ციფრული მექანიზმები და არ ყოფილიყო საჭირო წინასწარ განსაზღვრულ ფორმასთან მუშაობა. სხვა შემთხვევაში წამოყენებული იყო იდეა, რომ სამწლიან ანგარიშს ჰქონოდა მეტად თავისუფალი ფორმატი და დაწესებულების წარმომადგენლები ყოფილიყვნენ თავისუფლები, რომ მხოლოდ ის ინფორმაცია აესახათ ანგარიშში, რომელიც მათი გადმოსახედიდან იქნებოდა რელევანტური დაწესებულების მიერ მიღწეული პროგრესის ასახვისათვის.

ინტერვიუების ფარგლებში განხილული იყო სამწლიანი ანგარიშების მსგავსებები და შესაძლო თანაკვეთის არასებობა უსდ-ების ხარისხის გარე შეფასების სხვა მექანიზმებთან. შეფასების ბუნების გათვალისწინებით, უსდ-ების წარმომადგენლები ნაკლებად მიუთითებდნენ გადაფარვას სხვა შეფასების მექანიზმებთან, თუმცა ამ კონტექსტში მეტად გაუსვეს ხაზი დროით თანაკვეთას პარელალურად მიმდინარე სხვა შეფასებებთან, რაც, შეფასებების სიმრავლისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით, მათი აზრით, იწვევდა ადამიანური რესურსების დამატებით დატვირთვას უსდ-ებისათვის და იქმნებოდა ეგრეთოწოდებული შეფასებით გამოწვეული გადაღლის (evaluation fatigue) შთაბეჭდილება დაწესებულებებში. ერთ-ერთ რესპონდენტმა მიუთითა:

*„პრობლემად მოძეივნა, რომ სამ წლიანი ანგარიშები ბევრ პარალელურ პროცესს ემთხვევა. აი მაგალითად, ვეშალებოდით სამი წლიანი ანგარიშისთვის და უცებ არაგეგმური მონიტორინგი დაინიშნა.“*

დამატებით, უსდ-ების წარმომადგენლების განხილვის ერთ-ერთი საგანი იყო ასევე სამწლიან შეფასებებში სამართლებრივი შედეგების არარსებობა. ამ საკითხს ძირთადად დადებითად აფასებდნენ უსდ-ები და მიიჩნევდნენ, რომ სამართლებრივი შედეგის არსებობა გამოიწვევდა შეფასების კიდევ უფრო მეტ ფორმალიზებას და „ბიუროკრატიზებას“. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ შეფასებისათვის სამართლებრივი შედეგის გაჩენა დადებით გავლენას

მოახდენდა ჩართულ მხარეებზე, რადგან აუცილებლად გამოიწვევდა პასუხისმგებლობების ზრდას, როგორც ექსპერტების მხრიდან, ისე თავად დაწესებულებებისათვისაც. გარდა ამისა, ერთ-ერთმა რესპონდენტმა გამოკვეთა სამწლიანი ანგარიშების შესახებ შედგენილი დასკვნების გამოქვეყნების შესაძლებლობა, რაც, მისი თქმით, შესაძლებელია ყოფილიყო გათვლილი საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებაზე, რამაც შესაძლოა დამატებითი ღირებულება შემატოს შეფასების ამ ტიპს..

### **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები**

#### **სამწლიანი შეფასებების მიზანი და ეფექტურობა**

ექსპერტთა მოსაზრებები კვლევის ბევრ საკითხთან დაკავშირებით დიდწილად თანხვედრაში იყო უსდ-ების წარმომადგენელთა მოსაზრებებთან. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საკმაოდ სერიოზულ განსხვავებებს. მსგავსება ძირითადად გამოიხატებოდა ექსპერტთა მიერ სამწლიანი ანგარიშის, როგორც შუალედური შეფასების მექანიზმის წარმოჩენაში, რომელიც დაწესებულებას ეხმარება გარე-შეფასებისაგან უწყვეტი უკუკავშირის მიღებაში. ეს პოზიცია საკმაოდ ახლოს იყო „ტონუსში ყოფნის“ ნარატივებთან, რომელიც უსდ-ების წარმომადგენლებთან გამოიკვეთა.

რაც შეეხება განსხვავებებს, პირველი და სავარაუდოდ ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც საგრძნობი იყო ექსპერტთა ნარატივებსა და უსდ-ების წარმომადგენელთა ნარატივებში, იყო უფრო პოზიტიური განწყობა სამწლიანი ანგარიშების მიმართ. ექსპერტებმა გამოკვეთეს სამწლიანი შეფასების შინაარსობრივი პერსპექტივა და არ განიხილავდნენ მას როგორც უბრალო ადმინისტრაციულ პროცედურას. კერძოდ, ექსპერტები ძირითადად შენიშნავდნენ, რომ სამწლიანი ანგარიშები სასარგებლო უნდა ყოფილიყო დაწესებულებებისათვის, ხარისხის კულტურის განვითარების ხელშესაწყობად. ეს მოსაზრება ნაკლებად იყო გაზიარებული უსდ-ების წარმომადგენელთა მხრიდან. ექსპერტები ხედავდნენ სამწლიან შეფასებას, როგორც ზოგადად განმავითარებელ ინსტრუმენტს, ნაცვლად მისი მხოლოდ



ფომალური დატვირთვისა. ეს უკანასკნელი დომინირებდა უსდ-ების წარმომადგენელთა ნარატივებში. თუმცა, ექსპერტებიც ცალსახად აღნიშნავდნენ, რომ შეფასება ინსტრუმენტი, რომელიც ვერ იქნება ხარისხის კულტურის განმაპირობებელი და როგორც თავად უსდ-ს წარმომადგენლები შენიშნავდნენ, რეალური განვითარება დამოკიდებულია თავად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაზე, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებზე და კონკრეტულ დაწესებულებაში დამკვიდრებულ ხარისხის კულტურაზე. ერთ-ერთი ექსპერტი შენიშნავდა:

*„სამწლიანი ანგარიში არ არის ფორმალობა და ხელს უწყობს ხარისხის კულტურას, თუმცა ბევრი სხვა ფაქტორია გასათვალისწინებელი და მხოლოდ სამწლიანი ანგარიშების იმედად ვერ იქნება დაწესებულება, როდესაც საუბარია ხარისხის კულტურაზე.“*

მიუხედავად პრინციპის დონეზე მნიშვნელოვანი განსხვავებისა დაწესებულებების ნარატივებისაგან, ექსპერტები ასევე აღნიშნავდნენ, რომ პრაქტიკაში მათი მოსაზრებით სამწლიანი ანგარიშების შეფასება უფრო ფორმალური პროცესი იყო, ვიდრე შინაარსობრივი და განმავითარებელი.

ზოგადად, ექსპერტების მხრიდან წარმოდგენილი იყო ხარისხის კულტურის უფრო „რბილი“ გაგება, რომელიც ძირითადად უკავშირდებოდა სხვადასხვა მხარეების ჩართულობასა და გაზიარებულ პასუხისმგებლობას უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.

### **ექსპერტთა როლი და კომუნიკაცია**

როგორც დაწესებულებების ნარატივებში, ისე ექსპერტებთანაც, გამოიკვეთა სამწლიან შეფასებებში ინტერაქციის შესაძლებლობის ნაკლებობის პრობლემა. თუკი დაწესებულებების მხრიდან ხაზი ჰქონდა გასმული იმას, რომ ინტერვიუების არარსებობის პირობებში, მათ არ ეძლეოდათ საშუალება, რომ აეხსნათ გარკვეული საკითხები, რომლებიც შემდეგ დასკვნაში წარმოჩნდებოდა, როგორც გამოწვევები, ექსპერტთა მოსაზრებით, ინფორმაციის შეზღუდულობა და ინტერვიუების არარსებობა იწვევდა იმას, რომ ჯგუფი ვერ ახერხებდა სრულფასოვანი ინფორმაციის მოპოვებას და

შესაბამისად, ეს უარყოფით გავლენას ახდენდა შეფასების ჰოლისტურობაზე. ერთ-ერთი ექსპერტი შენიშნავდა:

*„ექსპერტები წარმოდგენილი დოკუმენტებითა და თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციითაა შეზღუდული, რის შედეგადაც ექსპერტი მოკლებულია შესაძლებლობას, გასცეს ღირებული რეკომენდაციები რაც დაწესებულებას რეალურად დაეხმარებოდა განვითარებაში.“*

გარდა ამისა, კონკრეტული დაწესებულებებისა და პროგრამების სამწლიანი შეფასების განხორციელების სპეციფიკასთან დაკავშირებით საკითხი დაისვა იმ ექსპერტთა მიერ, რომლებიც არ იყვნენ ჩართულები პირველად შეფასებაში. ძირითადი მოსაზრება იყო, რომ იდენტური ექსპერტების მიერ შეფასება უფრო სასარგებლო იქნებოდა დაწესებულებებისათვის, რადგან მათ მეტი ინფორმაცია ექნებოდათ წარსულ შეფასებებზე, ხოლო ახალი ექსპერტის ჩართვის შემთხვევაში, შეფასება შესაძლებელია ყოფილიყო უფრო ფრაგმენტული და ზოგ შემთხვევაში კი, ხარისხის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავებული ავტორიზაცია/აკრედიტაციის შეფასების ეტაპზე წარმოდგენილისაგან.

### **შეფასების პროცესის გაუმჯობესების შესაძლებლობები ექსპერტთა პერსპექტივიდან**

საერთო ჯამში, მიუხედავად სამწლიანი ანგარიშების პოზიტიური შეფასებისა პრინციპების დონეზე, ექსპერტების მოსაზრებები მეტ-ნაკლებად ემთხვეოდა უსდ-ების წარმომადგენელთა მოსაზრებებს. მიუთითებდა მეტ ფორმალიზაციაზე და შესაბამისად ექსპერტებიც მიუთითებდნენ ფორმატის შეცვლის შესაძლო სარგებელზე. ზოგიერთ შემთხვევაში იყო მოსაზრება სხვადასხვა შეფასების მექანიზმების ოპტიმიზაციასა და შესაძლო შერწყმაზე.

ერთ-ერთმა ექსპერტმა, დაწესებულებების წარმომადგენლების მსგავსად, ასევე ისაუბრა ერთიდაიმავე დაწესებულებისა და პროგრამების მიმართ სხვადასხვა ადმინისტრაციული წარმოებების დროის მოკლე მონაკვეთში განხორციელების შესახებ და აღნიშნა, რომ ეს არ იყო სასურველი პრაქტიკა, რადგან, მისი მოსაზრებით, ეს გავლენას ახდენდა ექსპერტთა მიერ შესაფასებელი ინფორმაციაზე და ართულებდა დაწესებულების მიერ შედეგების წარმოჩენას.

ასევე, მოსაზრება გამოითქვა შეფასების უფრო თავისუფალი ფორმატის თაობაზეც, სადაც დაწესებულებას ექნებოდა საშუალება უკეთ გამოეხატა საკუთარი მიდწევები და აქცენტი არ ყოფილიყო მხოლოდ დოკუმენტებზე, რომლებიც, ექსპერტთა მოსაზრებით, შესაძლებელია არ ყოფილიყო დაწესებულებაში არსებული რეალური მდგომარეობის აღმწერი და მეტად ყოფილიყო გათვლილი მხოლოდ კონკრეტული შეფასების ფარგლებში წარმატების მიდწევის მიზნისათვის.

## **განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები**

### **სამწლიანი შეფასებების მიზანი**

ცენტრის წარმომადგენლებმა სამწლიანი შეფასების მიზნის განმარტებისას მიუთითეს მის ჩანაფიქრზე, როგორც განმავითარებელი შეფასებაზე, რომელმაც მხარი უნდა დაუჭიროს დაწესებულების ინსტიტუციური და ხარისხის კულტურის განვითარებასს, თუმცა, ექსპერტებისა და უსდ-ების წარმომადგენლების მსგავსად, მათაც აღნიშნეს, რომ დღეისათვის არსებული ფორმით, ეს შეფასება ვერ ახერხებდა ამ შედეგზე გასვლას და ნაცვლად ამისა იქცეოდა დამატებით ადმინისტრაციულ ტვირთად როგორც ცენტრისათვის, ისე უსდ-ებისათვის. ცენტრის წარმომადგენლებმა ხარისხის კულტურა უფრო რბილ ფორმაში განსაზღვრეს და მეტი აქცენტი გააკეთეს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასა და გაზიარებულ პასუხისმგებლობაზე.

### **შეფასების პროცესი და ფორმატი**


ძირითადი საკითხი, რომელიც ცენტრის თანამშრომლებმა გააკრიტიკეს, იყო შეფასების ფორმატი. მათ მიუთითეს იმაზე, რომ არსებობდა რამდენიმე სხვა პროცედურა უმაღლესი განათლების ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემის ფარგლებში, რომელშიც უკვე ფასდებოდა იგივე საკითხები, კერძოდ, ავტორიზაცია/აკრედიტაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების დონე. სამწლიანი ანგარიში კი იქცეოდა აღნიშნული პროცესის ერთგვარ შინაარსობრივ დუბლირებად. აღნსანიშნავია, რომ მოცემული მოსაზრება გამოთქმული იყო უსდ-ების წარმომადგენლებთან ინტერვიუების ფარგლებშიც, სადაც, ერთ-ერთი რესპონდენტი პირდაპირ მიუთითებდა სხვადასხვა ტიპის თვითშეფასების ანგარიშებში ერთი და იმავე ინფორმაციის

„კოპირების“ საჭიროების შესახებ შეფასების შინაარსობრივი მსგავსების გამო. ერთ-ერთმა თანამშრომელმა, თანმდევი შეფასებების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, მიუთითა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში ნდობის განზომილების სიმცირეზე და გამოყო ესტონური გამოცდილება, რომელიც, მისი თქმით, გაცილებით არაფორმალური იყო, დაფუძნებული ღია კომუნიკაციაზე უსდ-სა და ცენტრს შორის და შესაბამისად, მიაჩნდა, რომ იყო მეტი შედეგის მომტანი.

დაწესებულებების წარმომადგენლების მსგავსად, ცენტრის თანამშრომლები მიუთითებდნენ შეფასებაში მეტი თავისუფლებისა და ღია სივრცეების გაჩენის საჭიროებაზე, სადაც უსდ რეალურად მოახერხებდა ეჩვენებინა მიღწეული პროგრესი და არ იქნებოდა საჭირო ისეთ საკითხებზე ორიენტირება, რომელიც უკვე შეფასებული იყო სხვა შეფასებების ფარგლებში.

სამწლიან შეფასებებთან დაკავშირებულ სირთულეებზე საუბრისას ცენტრის წარმომადგენლებმა მიუთითეს დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის პრობლემაზე, რომ სათანადოდ განიმარტოს სამწლიანი შეფასების მიზანი და ბუნება და განისაზღვროს ამ ტიპის შეფასების საზღვრები. გარდა ამისა, თანამშრომლებმა მიუთითეს კომპლექსურ საკანონმდებლო მოცემულობაზეც, რომელიც განსაზღვრავდა თუ რამდენად მოუწევდა კონკრეტულ დაწესებულებას სამწლიან შეფასებაში მონაწილეობა და ხშირად იწვევდა დამატებითი შრომის გაწევას ცენტრის მხრიდან. გარდა ამისა, ცენტრის წარმომადგენლებმა ასევე შენიშნეს, რომ რთული იყო სამწლიანი შეფასებების რეალური გავლენის განსაზღვრა და აღნიშნეს, რომ არც ის იყო ცხადი, თუ რა ოპტიმალურ შედეგს ემსახურებოდა შეფასება. შესაბამისად, ასეთ მოცემულობაში უჭირდათ, დაენახათ უსდ-ებისათვის მისი განოხრიცელების რეალური სარგებელი.

ცენტრის წარმომადგენლების ნარატივები შეესაბამებოდა უსდ-ების ნარატივებს იმ კუთხითაც, რომ ხაზს უსვამდნენ გარე შეფასების მექანიზმების ზრდის მიუღებლობას და მიუთითებდნენ, რომ უმჯობესი იქნებოდა მეტი კონცენტრაცია უნივერსიტეტების შიდა ხარისხის მექანიზმების გაუმჯობესებაზე და ცენტრის მხრიდან ამის ხელშეწყობაზე. ერთ-ერთი თანამშრომელი შენიშნავდა ცენტრის პოტენციალს, უკეთ გამოეყენებინა ცენტრთან აფილირებული საერთაშორისო ექსპერტთა რესურსი, რომლის მოცულობაც



იზრდებოდა აკრედიტაციის შეფასებებში საერთაშორისო ექსპერტთა ჩართულობის ზრდასთან ერთად.

ცენტრის წარმომადგენლებმა იმსჯელეს შეფასებაში სამართლებრივი შედეგის არარსებობისა და ექსპერტთა ინტერაქციის ნაკლებობის საკითხებზეც. ცენტრის თანამშრომლებმა აღნიშნეს რომ სამართლებრივი შედეგის გაჩენა არ იქნებოდა სასურველი შეფასებისათვის მეტი ფორმალიზაციის რისკისა და უკვე არსებული თანმდევი შეფასებების მრავალფეროვნების გათვალისწინებით. რაც შეეხება ინტერაქციის ნაკლებობას, ამ საკითხთან დაკავშირებით აღინიშნა მნიშვნელოვანი გარე შეფასების ფარგლებში სწორი კომუნიკაციისა და კონტექსტუალიზაციის მნიშვნელობა.

### **პროცესის განვითარების პერსპექტივები**

საბოლოო ჯამში, ცენტრის წარმომადგენელთა შეფასებები საკმაოდ კრიტიკული იყო სამწლიანი ანგარიშებისადმი და მათი მოსაზრებით, აუცილებელია შეფასების ფორმატის ცვლილება, რადგან არსებული ფორმით შეუძლებელია უსდ-ებისათვის სასარგებლო შედეგებზე გასვლა, ცენტრის მხრიდან კი ხდება მნიშვნელოვანი დროისა და რესურსების ხარჯვა და ცენტრის თანამშრომლების სამუშაო დატვირთვის ზრდა.

### **საერთაშორისო გამოცდილება**

გარდა განხორციელებული სამაგიდო და სავლე კვლევისა, თემატური ანალიზის ფარგლებში მოხდა საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა პროგრამული და ინსტიტუციური შეფასებების თანმდევი პროცედურების კუთხით. საერთაშორისო გამოცდილების შესწავლისას გათვალისწინებული იყო შესწავლილი ქვეყნების კონექსტუალური კავშირი საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემასთან და ასევე შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ინგლისურ ენაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, საბოლოოდ მოხდა ბალტიისპირეთის ქვეყნების: ესტონეთის, ლატვიისა და ლიეტუვის გამოცდილებების შესწავლა, რომლებიც წარმოადგენენ ევროკავშირის წევრ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს და თითოეულში მოქმედებს ENQA-ს წევრი ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო.

## ესტონეთი

უმაღლესი და პროფესიული განათლების ესტონური ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (HAKA) მიერ 2020 წელს განხორციელებული სისტემური ცვლილებების შედეგად გაუქმდა პროგრამული აკრედიტაციის პროცესები და სისტემა ფოკუსირდა მხოლოდ ინსტიტუციურ შეფასებაზე (აუდიტზე), რომელიც კონცენტრირებულია უსდების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასებაზე. დღესდღეობით მოქმედი შეფასებები გაწერილია უმაღლესი განათლების ხარისხის შეფასების 2020 წლის კონცეპტუალურ გეგმაში.<sup>4</sup>

ცვლილების ბუნებიდან და ნდობაზე ორიენტირებიდან გამომდინარე, ახალ სისტემაში გათვალისწინებული არ არის შეფასების თანმდევი პროცესები. ნაცვლად ამისა, საკვანძო სტატისტიკური ინფორმაცია დაწესებულებების შესახებ ინახება ესტონეთის საგანმანათლებლო ინფორმაციულ სისტემაში, რომელზე წვდომაც აქვს როგორც სააგენტოს, ისე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლოა დაიგეგმოს ინტერვენციები.

## ლატვია

ლატვიის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო ახორციელებს როგორც ინსტიტუციურ, ისე პროგრამულ შეფასებებს. ლატვიაში, ამჟამად მოქმედი ინსტიტუციური აკრედიტაციის მეთოდოლოგია<sup>5</sup> დამტკიცებულია 2019 წელს, ხოლო პროგრამული აკრედიტაციის მეთოდოლოგია<sup>6</sup> 2020 წელს.

ინსტიტუციური აკრედიტაციის მეთოდოლოგიის თანახმად, დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს ინსტიტუციური შეფასების შედეგად გაცემული რეკომენდაციების

---

<sup>4</sup> CONCEPTUAL PLAN FOR QUALITY ASSESSMENT IN HIGHER EDUCATION FOR 2020. ხელმისაწვდომი ლინკზე: [https://haka.ee/wp-content/uploads/HE\\_Assessment\\_Concept\\_2020.pdf](https://haka.ee/wp-content/uploads/HE_Assessment_Concept_2020.pdf)

<sup>5</sup> Methodology for Organising the Assessment of Higher Education Institutions and Colleges. ხელმისაწვდომი ლინკზე: <https://www.aika.lv/wp-content/uploads/2020/07/Methodology-for-Organising-the-Assessment-of-Higher-Education-Institutions-and-Colleges.pdf>

<sup>6</sup> Methodology for Organising Licensing of Study Programmes. ხელმისაწვდომი ლინკზე: <https://www.aika.lv/wp-content/uploads/2020/12/Methodology-for-Organising-Licensing-of-Study-Programmes-amended-08.12.2020..pdf>

შესრულების გეგმა, რომელსაც შეისწავლის სააგენტო და საჭიროების შემთხვევაში განსახილველად გადასცემს უმაღლესი განათლების საბჭოს, რომელიც გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა.

პროგრამული აკრედიტაციის ნაწილში მსგავსი პროცესი არ არის გათვალისწინებული. დაწესებულება ასრულებს პროგრამული აკრედიტაციის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებს, თუმცა ამ უკანასკნელის გარე-შეფასება ხდება მხოლოდ პროგრამული შეფასების მომდევნო ციკლის ფარგლებში.

### ლიეტუვა

ლიეტუვის უმაღლესი განათლების ხარისხის შეფასების ცენტრის (SKVC) ახორციელებს როგორც ინსტიტუციურ, ისე პროგრამულ აკრედიტაციას. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში ერთმანეთისაგან გამიჯნულია საგანმანათლებლო პროგრამების სფეროების აკრედიტაცია და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია. ცენტრს შემუშავებული აქვს თითოეული შეფასების განხორციელების მეთოდოლოგია.<sup>7 8 9</sup>

როგორც ინსტიტუციური, ისე პროგრამული აკრედიტაციის ორივე არსებულ მიდგომაში გათვალისწინებულია აკრედიტაციის თანმდევნი პროცესები. როგორც ინსტიტუციური, ისე პროგრამული აკრედიტაციის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაწესებულება შეიმუშავებს ექსპერტთა მიერ გამოყოფილი გამოწვევების გაუმჯობესების საშუალებებს. ინსტიტუციური აკრედიტაციის შემთხვევაში ეს საშუალებები უზიარდება ცენტრს შეფასების დასრულებიდან 6 თვის ვადაში, ხოლო პროგრამულ შემთხვევაში ზიარდება დაწესებულების შიგნით.

---

<sup>7</sup> ORDER OF THE DIRECTOR OF THE CENTRE FOR QUALITY ASSESSMENT IN HIGHER EDUCATION ON THE APPROVAL OF THE METHODOLOGY FOR CONDUCTING INSTITUTIONAL REVIEW OF A HIGHER EDUCATION INSTITUTION.

ხელმისაწვდომი ლინკზე:

<https://www.skvc.lt/uploads/documents/files/Teise/Kokybes%20agentura/Methodology%20for%20Institutional%20Review.pdf>

<sup>8</sup> METHODOLOGY FOR EXTERNAL EVALUATION OF STUDY FIELDS. ხელმისაწვდომი ლინკზე:

<https://www.skvc.lt/uploads/documents/files/Teise/Kokybes%20agentura/Methodology%20for%20Evaluation%20of%20Study%20Fields.pdf>

<sup>9</sup> METHODOLOGY FOR EVALUATION OF NEW STUDY PROGRAMMES. ხელმისაწვდომი ლინკზე:

<https://www.skvc.lt/uploads/documents/files/Teise/Kokybes%20agentura/Methodology%20for%20New%20study%20Programmes.pdf>

დაწესებულება, შემუშავებული გეგმის მიხედვით, წარმოადგენს პროგრესის ანგარიშს, რომელიც ქვეყნდება დაწესებულების ვებ-საიტზე და ასევე წარედგინება ცენტრს. 7 წლიანი პროგრამული აკრედიტაციის შემთხვევაში პროგრესის ანგარიშის წარმოდგენისათვის გათვალისწინებულია გადაწყვეტილების მიღებიდან ორ წელიწად-ნახევარი, ხოლო 3-წლიანის შემთხვევაში კი, 1 წელი. ახალი პროგრამისათვის განსაზღვრულია 1.5 წელი.


თითოეული შეფასების შემთხვევაში, ცენტრი ვალდებულია იღებს, რომ შეისწავლოს წარმოდგენილი ანგარიშები და დაწესებულებებს მიაწოდოს უკუკავშირი. ინსტიტუციური აკრედიტაციის შემთხვევაში, ცენტრი იღებს ვალდებულებას, მოახდინოს გაუმჯობესების მონიტორინგი ერთხელ მინიმუმ, აკრედიტაციის მომდევნო ციკლის დადგომამდე. მონიტორინგი გათვალისწინებულია პროგრამული აკრედიტაციის ნაწილშიც, თუმცა არ შეიცავს ისეთ კონკრეტიკას, როგორც ინსტიტუციურის შემთხვევაში. გარდა ამისა, პროგრამული აკრედიტაციის შემთხვევაში, ცენტრი პერიოდულად ახორციელებს სასწავლო სფეროს ინდიკატორების მონიტორინგს, რომელსაც აქვეყნებს ვებ-გვერდზე.

### **დასკვნა და რეკომენდაციები**

როგორც სამწლიანი ანგარიშების ფარგლებში შემუშავებული დასკვნების ანალიზის, ისე დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების ფონზე, იკვეთება საერთო სურათი, რომ სამწლიანი ანგარიშები, მიუხედავად დადებითი გავლენის მოხდენის პოტენციალისა, მხოლოდ ნაწილობრივ ახერხებს იმ შედეგებზე გასვლას, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობის მიერ. სამწლიანი შეფასება, განმავითარებელ ფაქტორზე მეტად, იქცევა დამატებით ადმინისტრაციულ ტვირთად ყველა ჩართული მხარისათვის, ბიუროკრატიულ გამოწვევად, რომელიც ზრდის როგორც უსდ-ების, ისე ცენტრის სამსახურებრივ დატვირთვას და მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევის გარეშე იყენებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა რესურსს.

თემატური ანალიზის შედეგების გათვალისწინებით, ავტორიზაციის სამწლიანი ანგარიშების ფარგლებში, იმ შემთხვევებში, როდესაც სახეზე გვაქვს რეკომენდაციები და რჩევები, უმეტესწილად შინაარსობრივად მეორდება ავტორიზაციის დროს გაცემული რეკომენდაციები, ხოლო უფრო ხშირად კი იკვეთება ისეთ მოცემულობები, როდესაც არ





არის გაცემული არანაირი რეკომენდაციები და რჩევები და შესაბამისად, რთული ხდება საუბარი მის განმავითარებელ ბუნებაზე. დაწესებულებები, თავის მხრივ, ნაკლებად სასარგებლოდ მიიჩნევენ შეფასების ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებს და იმის გათვალისწინებით, რომ შეფასება ხდება ინტერვიუების გარეშე, მაღალ შეფასებას არ იმსახურებს შეფასების კონტექსტუალიზაცია.

აკრედიტაციის სამწლიან შეფასებებში მწირია აქცენტები ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარებაზე, დაწესებულებები კი, აკრედიტაციის ფარგლებში შესაფასებელი პროგრამების რაოდენობისა და ზოგადად გარე-შეფასებისა და კონკრეტულად ავტორიზაცია-აკრედიტაციის თანმდევი შეფასების მექანიზმების სიმრავლის გამო მუდმივად განიცდიან სამსახურებრივი დატვირთვის ზრდას და სახეზე გვაქვს შეფასებით გადაღლის (Evaluation Fatigue) ნიშნები.

მიუხედავად გარკვეული განსხვავებების არსებობისა პროცესში ჩართული მხარეების შეხედულებებში, არც ერთი დაინტერესებული მხარე არ მიიჩნევს სამწლიან შეფასებას იმ ფორმით, როგორც ამჟამად აქვს ამ უკანასკნელს, ეფექტიანად, ეფექტურად და სასარგებლოდ. განსხვავებული მხარეები მიუთითებენ, რომ სამწლიან შეფასებებს არსებული ფორმით, ნაკლებად აქვთ ხარისხის კულტურისა და ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერის შესაძლებლობა და ქცეულია ფორმალობად, რომლის განხორციელებაც ხდება მხოლოდ მისი სავალდებულობის ფაქტორის გათვალისწინებით.

ჩართული მხარეები ასევე აუცილებლად მიიჩნევენ შიდა ხარისხის განვითარებაზე მეტ ზრუნვას და ასეთი ტიპის შეფასების შენარჩუნების შემთხვევაში, ხელავენ მისი მოდიფიცირების აუცილებლობას, მეტი თავისუფლების მინიჭების საჭიროებას დაწესებულებებისადმი, რომლის ფარგლებშიც მოხდება მიღწეული შედეგების გამოყოფა და არ იქნება გამეორებული ის საკითხები, რომლებიც ისედაც იფარება სხვა ტიპის შეფასებებში. ცვლილებების საჭიროებაზე მიუთითებს შესწავლილი საერთაშორისო პრაქტიკებიც, სადაც ვხვდებით შეფასების მექანიზმების მეტ ოპტიმიზაციას და ნაკლებ კონცენტრაციას შეფასების ნაირფეროვან მექანიზმებზე,

რომლებიც იწვევენ უსდ-ების გაზრდილ კონცენტრაციას გარე შეფასებაზე, ნაცვლად შიდა მექანიზმების განვითარებაზე ცენტრირებისა.

ავტორიზაციისა და სამწლიანი შეფასებების ფარგლებში გამოკვეთილი რეკომენდაციების ანალიზით გამოიკვეთა, რომ სამწლიან ანგარიშებს შესაძლებელია ჰქონდეთ პოტენციალი, უსდ-ს კვლევითი პოტენციალის უწყვეტი შეფასების და გაუმჯობესების თვალსაზრისით, თუმცა ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია შეფასების მექანიზმის მეტად დახვეწა.

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში, ავტორიზაცია/აკრედიტაციის თანმდევი შეფასებების გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სამწლიანი ანგარიშის ფორმა არ იყოს კონცენტრირებული წინა შეფასებებში გაცემულ რეკომენდაციებზე და სთავაზობდეს დაწესებულებებს მეტ თავისუფლებას განხორციელებული პროგრესის ასახვისათვის;
- გარე შეფასებებთან მიმართებით, დაწესებულებებისა და ცენტრის სამუშაო დატვირთვის შესამცირებლად, რეკომენდებულია თანმდევი შეფასებების ოპტიმიზაცია და მსჯელობა 3 წლიანი შუალედური ანგარიშების რეალურ საჭიროებაზე, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის კონტექსტების გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია, ცენტრის მიერ მეტი აქცენტის გაკეთება ხარისხის შიდა მექანიზმების განვითარებაზე დაწესებულებებში, ტრენინგების, ვორქშოპების და სხვა საშუალებებით;
- კონტექსტუალიზაციისა და გამოწვევების უკეთ განმარტების მიზნით, რეკომენდებულია სამწლიანი ანგარიშების შეფასების ფარგლებში სათანადო კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში (მაგ., ინფრასტრუქტურის განახლება და ა.შ.) გათვალისწინებული იყოს დაწესებულებისა და ექსპერტების უშუალო ინტერაქცია;

- შეფასების მექანიზმის დახვეწის შემთხვევაში, სამწლიანი შეფასება შესაძლებელია იყოს უსდ-ს კვლევითი პოტენციალის ხელშეწყობისა და განვითარების მხარდამჭერი რესურსი.
- რეკომენდებულია ექსპერტებსა და უსდ-ების წარმომადგენლებს გაეწიოთ მიზნობრივი კონსულტაცია სამწლიანი ანგარიშების შექმნისა და გაანალიზების ერთიანი მიდგომებისა და საერთო დანიშნულების შესახებ
- რეკომენდებულია, უსდ-ების მიერ განხორციელებული პროგრესის აღნიშვნისა და შეფასების პროცესში, მეტად იყოს გამოყენებული ციფრული რესურსები და შესაბამისი ტექნიკურად გამართული, განახლებადი მონიტორინგის სისტემა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა გამოყენებული იყოს ასევე პერიოდული გეგმიური მონიტორინგების განრიგის საწარმოებლად;
- რეკომენდებულია, გამარტივდეს სამწლიანი ანგარიშის წარმოების პროცესი და ეტაპები, რათა შემცირდეს ცენტრის თანამშრომელთა და ექსპერტთა დატვირთვა.

## დანართები

### დანართი #1 - უსდ-ების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების გზამკვლევი

მოცემული ინტერვიუ ტარდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თემატური ანალიზის ფარგლებში, სამწლიანი ანგარიშების ეფექტურობასთან დაკავშირებით. კვლევის მიზანია სამწლიანი ანგარიშების შეფასების პროცესების გაუმჯობესება უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში. კვლევაში მონაწილეობა კონფიდენციალურია და კვლევის ანგარიშში არ იქნება გამოყენებული არანაირი პირადი ან/და იდენტიფიცირებადი ინფორმაცია რესპონდენტის შესახებ. ინტერვიუს სავარაუდო ხანგრძლივობაა 30 წუთი.

### ინტერვიუ დაწესებულებების წარმომადგენლებთან:

1. გთხოვთ ახსნათ რა არის თქვენი მოსაზრებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ 3-წლიანი ანგარიშის წარმოდგენის მიზანი.
  - 1.1. რამდენად მიგაჩნიათ, რომ ანგარიშების წარმოდგენა გადის მიზანზე. (რატომ)
2. თქვენი შეფასებით, რა როლს ასრულებს 3-წლიანი ანგარიში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის კულტურის განვითარების პროცესში?

2.1. როგორ გესმით ხარისხის კულტურა.

3. თქვენი გამოცდილებით, რამდენად შეესაბამება სამწლიანი ანგარიშებით მიღებული შედეგები მათთვის დახარჯულ დროსა და ენერჯიას ( როგორც ავტორიზაციის, ისე აკრედიტაციის ნაწილში). (რატომ)
4. რამდენად სასარგებლოდ მიგაჩნიათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სამწლიანი ანგარიშის შემუშავების შედეგად მიღებული შედეგები ინსტიტუციური განვითარების თვალსაზრისით? (რატომ)
5. თქვენი გადმოსახედიდან, რამდენად მოდის სამწლიანი ანგარიშები თანაკვეთა-გადაფარვაში სხვა ტიპის ანგარიშებთან აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ფარგლებში.
6. თქვენი გამოცდილებით, დაწესებულების პერსპექტივიდან, რა არის მთავარი სირთულე სამწლიან ანგარიშებთან მუშაობის პროცესში.
7. დაწესებულების პერსპექტივიდან, რა დადებითი ასპექტები აქვს სამწლიან ანგარიშს და მასზე მუშაობის პროცესს?
8. საერთო ჯამში, როგორ შეაფასებთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ 3-წლიანი ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებას? (რატომ).

## **დანართი #2 - ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუების გზამკვლევი**

*მოცემული ინტერვიუ ტარდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თემატური ანალიზის ფარგლებში, სამწლიანი ანგარიშების ეფექტურობასთან დაკავშირებით. კვლევის მიზანია სამწლიანი ანგარიშების შეფასების პროცესების გაუმჯობესება უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში. კვლევაში მონაწილეობა კონფიდენციალურია და კვლევის ანგარიშში არ იქნება გამოყენებული არანაირი პირადი ან/და იდენტიფიცირებადი ინფორმაცია რესპონდენტის შესახებ. ინტერვიუს სავარაუდო ხანგრძლივობაა 30 წუთი.*

### **ინტერვიუ ექსპერტებთან:**

1. გთხოვთ ახსნათ რა არის თქვენი მოსაზრებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ 3-წლიანი ანგარიშის წარმოდგენის მიზანი.
  - 1.1. რამდენად მიგაჩნიათ, რომ ანგარიშების წარმოდგენა გადის მიზანზე. (რატომ)
2. თქვენი შეფასებით, რა როლს ასრულებს 3-წლიანი ანგარიში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის კულტურის განვითარების პროცესში?
  - 2.1. როგორ გესმით ხარისხის კულტურა.
3. თქვენი გამოცდილებით, რა ძირითადი განსხვავებები არსებობს სამწლიანი ანგარიშებთან მიმართებით ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებში.
4. თქვენი გამოცდილებით, რა არის სამწლიანი ანგარიშების ძირითადი განმასხვავებელი სხვა შეფასებებისაგან.


5. რამდენად სასარგებლოდ მიგაჩნიათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სამწლიანი ანგარიშის შემუშავების შედეგად მიღებული შედეგები ინსტიტუციური განვითარების თვალსაზრისით? (რატომ)
6. თქვენი გამოცდილებით, რამდენად მოდის სამწლიანი ანგარიშები თანაკვეთა-გადაფარვაში სხვა ტიპის ანგარიშებთან.
7. თქვენი საექსპერტო გამოცდილებით რა არის მთავარი სირთულე სამწლიან ანგარიშებთან მუშაობისას, როგორც ავტორიზაციის ისე აკრედიტაციის ფარგლებში (რატომ?).
8. დაწესებულების პერსპექტივიდან, რა დადებითი ასპექტები აქვს სამწლიან ანგარიშს და მასზე მუშაობის პროცესს?
9. საერთო ჯამში, როგორ შეაფასებთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ 3-წლიანი ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებას? (რატომ).

### **დანართი #3 - ცენტრის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების გზამკვლევი**

*მოცემული ინტერვიუ ტარდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თემატური ანალიზის ფარგლებში, სამწლიანი ანგარიშების ეფექტურობასთან დაკავშირებით. კვლევის მიზანია სამწლიანი ანგარიშების შეფასების პროცესების გაუმჯობესება უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში. კვლევაში მონაწილეობა კონფიდენციალურია და კვლევის ანგარიშში არ იქნება გამოყენებული არანაირი პირადი ან/და იდენტიფიცირებადი ინფორმაცია რესპონდენტის შესახებ. ინტერვიუს სავარაუდო ხანგრძლივობაა 30 წუთი.*

#### **ინტერვიუ ცენტრის თანამშრომლებთან:**

1. გთხოვთ ახსნათ რა არის თქვენი მოსაზრებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ 3-წლიანი ანგარიშის წარმოდგენის მიზანი.
  - 1.1. რამდენად მიგაჩნიათ, რომ ანგარიშების წარმოდგენა გადის მიზანზე. (რატომ)
2. თქვენი შეფასებით, რა როლს ასრულებს 3-წლიანი ანგარიში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის კულტურის განვითარების პროცესში?
  - 2.1. როგორ გესმით ხარისხის კულტურა.
3. თქვენი გამოცდილებით, რა ძირითადი განსხვავებები არსებობს სამწლიანი ანგარიშებთან მიმართებით ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებში.
4. თქვენი გამოცდილებით, რა არის სამწლიანი ანგარიშების ძირითადი განმასხვავებელი სხვა შეფასებებისაგან.
5. რამდენად სასარგებლოდ მიგაჩნიათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სამწლიანი ანგარიშის შემუშავების შედეგად მიღებული შედეგები ინსტიტუციური განვითარების თვალსაზრისით? (რატომ)

- 
6. თქვენი გამოცდილებით, რამდენად მოდის სამწლიანი ანგარიშები თანაკვეთა-გადაფარვაში სხვა ტიპის ანგარიშებთან.
  7. რამდენად შესაბამისად მიგაჩნიათ სამწლიანი ანგარიშების შეფასების ფარგლებში დახარჯული დრო და რესურსები მიღწეულ შედეგთან.
  8. თქვენი სამუშო გამოცდილებით რა არის მთავარი სირთულე სამწლიან ანგარიშებთან მუშაობისას, როგორც ავტორიზაციის ისე აკრედიტაციის ფარგლებში (რატომ?).
  9. საერთო ჯამში, როგორ შეაფასებთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ 3-წლიანი ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებას? (რატომ).